1948

უფასო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და განკარგულებათა

კრებული

წელიწადი მეთერთმეტე

№ 5—6 | Сборник приказов и распоряжений Министерства Просвещения Груз. ССР | 1948 წ.

შინაარსი

1. ბრძანება № 1172, უცხო ენების სწავლების შემოწმების შესახებ . . . 2 გვ.
2. ბრძანება № 1137, კონსტიტუციის სწავლების შესახებ საქ. სსრ ზოგიერთ რვაწლიან და საშუალო სკოლაში . . . . . 7 „
3. ბრძანება № 871, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის მუშაობის შესახებ 12 „
4. დადგენილება—დაუსწრებელი უმაღლესი პედაგოგიური განათლების მდგომარეობის შესახებ . . . . . 17 „
5. მითითებანი—საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტის ლაბორანტის მუშაობის შესახებ . . . . . 24 „
6. მითითებანი—საშუალო სკოლის ლაბორანტის მუშაობის შესახებ ქიმიაში . . . . . 31 „
7. ინსტრუქცია—ბავშვთა მეურვეობის, გაშვილებისა და უფლებრივი დაცვის შესახებ. . . . . 37 „
8. ინსტრუქცია—ბავშვთა გადაცემის შესახებ აღსაზრდელად მშრომელთა ოჯახებში . . . . . 42 „
9. ინსტრუქცია—საბავშვო სახლის აღსაზრდელთა ქონებრივი უფლების დაცვის შესახებ. . . . . 50 „

4443

საჯარო ბიბლიოთეკა

თბილისი — 1948

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1172

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1948 წლის 27 მაისი

უცხო ენების სწავლების გამოკვლევის საფუძველზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1948 წლის 30 იანვარს მიღებული № 183 ბრძანების შესრულების შემოწმების შესახებ საქართველოს სსრ ზოგიერთ რვაწლიან და საშუალო სკოლაში.

აღვნიშნავ, რომ ამ უკანასკნელ ხანებში უცხო ენების სწავლება საქართველოს სსრ რესპუბლიკის ზოგ სკოლაში საგრძნობლად გაუმჯობესდა. მრავალი სკოლის უცხო ენის მასწავლებელი სისტემატურად მუშაობს კვალიფიკაციის ამაღლებაზე, საფუძვლიანად ემზადება გაკვეთილისათვის, იყენებს თვალსაჩინოებას. ამის შედეგად მოსწავლეთა საგრძნობი ნაწილი დაუფლებულია კითხვისა და წერის ტექნიკას, არ უჭირს უცხო ენიდან მშობლიურზე და მშობლიურიდან უცხო ენაზე მარტივი ტექსტების თარგმნა, დამაკმაყოფილებლად ერკვევა უმთავრეს გრამატიკულ კანონებსა და წესებში.

გურჯაანის რაიონის სოფ. ველისციხის და სოფ შაშიანის საშუალო სკოლების, ბორჯომის ვაჟთა ქართული და რუსული საშუალო სკოლების ინგლისური ენის მასწავლებლები: ქ. ხაჩიშვილი, ი. სავაძე, თ. ყავრელიშვილი და ვ. რიაბინინი, ფრანგული ენის მასწავლებელი ნ. რუხაძე (კასპის საშუალო სკოლა), კასპის რაიონის სოფ. სასირეთის და კავთისხევის საშუალო სკოლების, ორჯონიკიძის რაიონის სოფ ლაშის და ლანჩხუთის რაიონის სოფ. ლაშისღელეს რვაწლიანი სკოლების გერმანული ენის მასწავლებლები: თ. დემეტრაშვილი, ნ. ნონიკაშვილი, ე. სამხარაძე და ჰ. კანდელაკი გაკვეთილებს კარგად ატარებენ. მათ გაკვეთილებზე სანიმუშო დისციპლინაა. ისინი ახალი მასალის ახსნისას მუშაობაში აბამენ მთელ კლასს, გაუსწორებლად არ სტოვებენ არც ერთ შეცდომას. ზუსტად იცავენ წერის ნორმებს და იყენებენ წერის მრავალფეროვან სახეებს. გულდას-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მით ასწორებენ ნაშრომებს, მოფიქრებულად და ზომიერად აძლევენ მოსწავლეებს საშინაო დავალებებს და სხვ.

ამის შედეგად ამ სკოლების მოსწავლეთა დიდ ნაწილს უცხო სიტყვათა საკმაოდ მდიდარი მარაგი გააჩნია, გავლილი მასალა საფუძვლიანად აქვთ შეთვისებული, ისინი სწორად პასუხობენ მასწავლებელთა მიერ დასმულ კითხვებზე, თავისუფლად არჩევენ წინადადებებს. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მოსწავლენი სუფთად და ლამაზად წერენ.

მიუხედავად ამისა საქართველოს სსრ რესპუბლიკის სკოლების საკმაოდ დიდ ნაწილში ჯერ კიდევ ვხვდებით ისეთ მასწავლებლებს, რომლებიც არ არიან საკმაოდ დაუფლებულნი ენას და ამასთანავე სუსტად მუშაობენ საკუთარ თავზე. ამის შედეგად მათი გაკვეთილები მეტად უფერული, უხალისო და მოსაწყენია. თვით მასწავლებლები ტექსტებს კითხულობენ შეცდომებით, წერის დროს უამრავ ორთოგრაფიულ შეცდომას უშვებენ, გრამატიკულ მასალას სქემატურად ხსნიან, საკმარისი რაოდენობით არ აძლევენ მოსწავლეებს საშინაო დავალებებს, არ ამოწმებენ ამ დავალებებს და სხვ.

მაგალითად, ლანჩხუთის რაიონის ჩიბათის საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი დ. იმნაძე საკმაოდ ვერ არის დაუფლებული ენას. მას არ ესმის ზოგიერთი ბგერის კითხვის თავისებურებანი და სიტყვათა მნიშვნელობაც კი; მაგალითად fahren კითხულობს „ფახრენ“ („h“ აქ არ გამოითქმის, იგი მხოლოდ ხმოვანს აგრძელებს). უნდა წაიკითხოს zurückbleiben (ჩამორჩენა) კითხულობს zuckerbleibeu (zucker შაქარი, bleiben დარჩენა) და თარგმნის „უკან დარჩენა“.

ენის უცოდინარობას ამჟღავნებს აგრეთვე ნიგოითის საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი ნ. ობოლაძე. ის უაზრო კითხვებს სვამს მოსწავლეთა წინაშე was ist Russland? (რა არის რუსეთი) და სხვ., წინადადებას 1500 meter Hohe (1500 მეტრის სიმაღლეზე) თარგმნის „1500 მეტრი ჰაერამდე“. ამ სკოლის მოსწავლენი ცუდად კითხულობენ, არასწორად თარგმნიან, მათი სიტყვების მარაგი ძალზე მცირეა. მათ არ იციან გრამატიკული მასალა.

შუხუთის საშუალო სკოლის (ლანჩხუთის რაიონი) გერმანული ენის მასწავლებელი (მ. ტაბლიაშვილი) სათანადოდ არ არის ენას დაუფლებული. იგი ტექსტს კითხულობს და თარგმნის შეცდომებით, სიტყვას löst თარგმნის „ცვლის“, წერის დროს უშვებს შეცდომებს, არსებით სახელებს წერს უარტიკლოდ.

სუსტად იციან ენა აგრეთვე კასპის რაიონის სოფელ სასირეთის და დოესის საშუალო სკოლის მასწავლებლებმა ზ. დემეტრაშვილმა და ი. ალექსიძემ, და ორჯონიკიძის რაიონის ფარცხნალის 8-წლიანი და მოლითის საშუალო სკოლების გერმანული ენის მასწავლებლებმა: კვირიკაშვილმა და ვ. ტორაძემ.

ბაკურიანის (ბორჯომის რაიონი) საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი თინა გიორგაძე სპეციალობით არის გეოგრაფი. მან ენა სრულებით არ იცის, იგი ვერ ახერხებს პასუხის გაცემას შეკითხვაზე: „Sprechen sie Dvutsch?". ტექსტს დაფაზე წერს მუნჯურად, წერის დროს უშვებს უამრავ შეცდომას, ტექსტს კითხულობს არასწორად—Decke კითხულობს დესკე, gehen —გეხენ, sehr—ზეხერ, stück— სტიუსკ და ქართულადაც დამახინჯებულად თარგმნის.

უცხო ენის ზოგიერთი მასწავლებელი ენას დაუფლებულია, მაგრამ პედაგოგიური თვალსაზრისით სუსტად არის დახელოვნებული. მაგალითად, ბორჯომის ქალთა საშუალო ქართული სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი ქ. ჭალიძე ახალი გაკვეთილის ახსნამდე ჩუმად წერს სიტყვებს დაფაზე, მოსწავლეები 10—12 წუთს უნდებიან ამ სიტყვების გადაწერას, არ ასწორებს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს და სხვ.

უცხო ენების სწავლების საქმეში აღნიშნული ეს ნაკლოვანებანი მასწავლებელთა დაბალ კვალიფიკაციასთან ერთად, იმის შედეგიცაა, რომ სკოლები არ არიან უზრუნველყოფილნი საჭირო რაოდენობის სახელმძღვანელოებით და დიდაქტიკური მასალებით. არის სკოლები, რომლებშიაც მთელ კლასზე 2,3 და უკეთეს შემთხვევაში 5 სახელმძღვანელო მოდის.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაევალოს უცხო ენების მასწავლებლებს:

ა) გულდასმით ემზადონ ყოველ გაკვეთილისათვის, გრამატიკული წესების განხილვა სისტემატურად დაამყარონ ტექსტობრივი მასალის შესწავლაზე და ახალი მასალის გადაცემასთან ერთად ყოველ გაკვეთილზე სერიოზული ყურადღება მიაქციონ ვარჯიშსა და გავლილი მასალის განმეორებას;

ბ) ზუსტად დაიცვან საკონტროლო და საკლასო-საავარჯიშო წერის ნორმები (მითითება წერის ნორმებისა და სახეების შესახებ გადმოგეგზავნებათ ცალკე). საწერი მასალა წინასწარ შეარჩიონ; საკონტროლო ნამუშევრები გულდასმით განიხილონ და შეცდომები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაასწორებინონ მოსწავლეებს; საკონტროლო წერის რვეულები, როგორც წესი, იქონიონ სკოლაში;

გ) გაშალონ სკოლებში კლასგარეშე მუშაობა; ჩამოაყალიბონ უცხო ენის წრეები; წრეებში გამოიყენონ ის საკითხავი მასალა, რომელიც ყოველი სახელმძღვანელოს ბოლოშია მოთავსებული.

2. პედაგოგიურმა კაბინეტებმა გააცხოველონ და კონკრეტული ხასიათი მისცენ უცხო ენების სექციების მუშაობას და ამ მუშაობაში ჩააბან უცხო ენის ყველა მასწავლებელი.

3. დაევალოს კადრების განყოფილებას 1984/49 სასწავლო წლიდან, როგორც შეუფერებლებს, ჩამოერთვას გერმანული ენის გაკვეთილები: კასპის რაიონის სოფ. სასირეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს ზინაიდა ივანეს ასულ დემეტრაშვილს, ამავე რაიონის სოფ. დოესის საშუალო სკოლის მასწავლებელს იოსებ შალვას-ძე ალექსიძეს, ბორჯომის რაიონის დ. ბაკურიანის საშუალო სკოლის ქართული სექტორის მასწავლებელს თინა მელიქის ასულ გიორგაძეს და ორჯონიკიძის რაიონის, სოფ. ფარცხნალის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს თამარ სილიბისტროს ასულ კვირიკაშვილს.

4. ზაფხულის პერიოდში მივლინებულ იქნან უცხო ენების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე: ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჩიბათის საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი დავით იმნაძე, იმავე რაიონის სოფ. ნიგოითის საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი ნინო ობოლაძე, იმავე რაიონის სოფ. შუხუთის საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი მარგარიტა ტაბლიაშვილი, ბორჯომის ქალთა საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი ქეთევან ჭალიძე, ბორჯომის რაიონის დაბა ბაკურიანის საშუალო სკოლის რუსული სექტორის გერმანული ენის მასწავლებელი ლავრენტი გელაშვილი, ორჯონიკიძის რაიონის სოფ. ბორითის საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი ნუნუ ჩიგოგა და იმავე რაიონის ს. მოლითის საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი ვიქტორ ტორაძე.

დაევალოს ამ რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს უზრუნველჰყონ ზემო ჩამოთვლილ მასწავლებელთა მივლინება გადასამზადებელ კურსებზე.

ვაფრთხილებ მასწავლებლებს: დ. იმნაძეს, ნ. ობოლაძეს, მ. ტაბლიაშვილსა და ვ. ტორაძეს, რომ თუ მათ მუშაობაში მომავალი სასწავლო წლიდან არ იქნება მიღწეული გარკვეული გარდატეხა, ისინი განთავისუფლებული იქნებიან მასწავლებლობიდან.

5. უცხო ენის განყოფილებამ: ა) დაამუშაოს წერითი ნამუშევრების ნორმებისა და სახეების შესახებ მეთოდური მითითებები და ა/წ 1 სექტემბრიდან უზრუნველჰყოს სკოლები ამ მითითებებით; ბ) ა/წ ოქტომბრისა და ნოემბრის თვეში ჩაატაროს საქართველოს 10 რაიონისა და ქალაქის სკოლებში ამ ბრძანების შესრულების შემოწმება.

6. ეს ბრძანება განხილულ იქნეს საქართველოს სსრ ყველა რვაწლიანი და საშუალო სკოლების პედაგოგური საბჭოს სხდომაზე და დასახულ იქნეს სათანადო ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ბ. კუბრაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1137

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1948 წლის 20 მაისი

კონსტიტუციის სწავლების შესახებ საქართველოს სსრ ზოგიერთ რვაწლიან და საშუალო სკოლაში.

ალვნიშნავ, რომ საქართველოს სსრ ზოგ სკოლაში სსრ კავშირის კონსტიტუციის სწავლება დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული, ამ საგნის ბევრი მასწავლებელი სერიოზულად ემზადება თითოეული გაკვეთილისათვის, სისტემატურად სარგებლობს საჭირო დამხმარე ლიტერატურითა და სწავლებაში ფართოდ იყენებს თვალსაჩინოებას.

რესპუბლიკის მრავალი რვაწლიანი და საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეებმა კარგად იციან კონსტიტუციის პროგრამით გათვალისწინებული კურსი. მაგალითად, მაიაკოვსკის I საშუალო სკოლის მოსწავლეებს (მასწავლებელი ნ. გუმბერიძე) სწორად აქვთ გაგებული საბჭოთა სახელმწიფოსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის არსებული ძირითადი განსხვავება; მოსწავლენი კარგად იცნობენ საბჭოთა საარჩევნო სასტემას, ამომრჩევლების უფლებებს, დეპუტატების მოვალეობას და სხვ..

ქ. ცხაკაიას ქალთა საშუალო სკოლის მოსწავლეებმა (მასწ. მ. ღურწკაია) კარგად იციან როდის და რა პირობებში იქნა მოწვეული სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობა და მის მიერ მიღებული პირველი დეკრეტები. ისინი დამაჯერებლად მოგვითხრობენ სსრ კავშირის ცხოვრებაში 1924 წლიდან 1936 წლამდე მომხდარ იმ ღრმა ცვლილებების შესახებ, რომლებმაც აუცილებელი გახადეს სსრ კავშირის პირველ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა; მოსწავლეებს სწორად ესმით სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს ორპალატიანობის მნიშვნელობა, მათ იციან კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების წესი და სხვა.

ასევე დამაკმაყოფილებლად იციან კურსი მაიაკოვსკის რ.როკითის 8 წლიანი სკოლის (მასწ. თ. მოსიძე), ქ. ცხაკაიას ვაჟთა I საშუალო სკოლის (მასწ. ავ. ხაბურზანია), ცხაკაიას რაიონის სოფ. შხეფის რვაწლიანი (მასწ. ტ. ჯღარკავა), გურჯაანის რაიონის სოფ. ახაშენის (მასწ. ვ. ჭაჭუკაშვილი) რვაწლიანი და საშუალო სკოლების მე-8 კლასის მოსწავლეებმა.

მაგრამ სსრ კავშირის კონსტიტუციის სწავლებაში მთელ რიგ ნაკლოვანებებსაც აქვს ადგილი.

ზოგიერთი მასწავლებელი სრულიად არ მუშაობს თავის თავზე. მაგალითად, სოფ. საყუნეთის (ახალციხის რაიონი) რვაწლიანი სკოლის კონსტიტუციის მასწავლებელი ს. ჩინჩალაძე არ კითხულობს ჟურნალ გაზეთებს და პოლიტიკურ ლიტერატურას. მან არ იცის, თუ როგორი ხელისუფლებაა დღეს ბულგარეთსა და რუმინეთში. იგი არ არის გაცნობილი პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს — „ისტორიის ფალსიფიკატორები“ და სხვ. ასევე სუსტად მუშაობენ თავისთავზე ახალციხის რაიონის სოფ. ზიქილიის 8 წლიანი სკოლისა და სოფ. აწყურის საშუალო სკოლის კონსტიტუციის მასწავლებლები.

კონსტიტუციის ზოგიერთი მასწავლებელი მოსწავლეებს გაკვეთილებზე კარნახით, ნაჩქარევად აწერინებს კონსპექტს. მოსწავლეებს გაკვეთილის მომზადება ხშირად უხდებათ შეცდომებით ჩაწერილი კონსპექტებით. ამის გამო მოსწავლეთა ცოდნა ზერელე და უსისტემოა.

ზოგიერთი სკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე არ უწევს ხელმძღვანელობას და ზედამხედველობას კონსტიტუციის მასწავლებლებს. ზემოხანდაკის (კასპის რაიონი) 8 წლიან სკოლას არ გააჩნია კონსტიტუციის პროგრამა, მასწავლებელს არა აქვს შედგენილი სამუშაო გეგმები, დირექტორმა და სასწავლო ნაწილის გამგემ არ იცის როგორი მდგომარეობაა კონსტიტუციის სწავლების საქმეში, რადგან მათ წელს კონსტიტუციის არც ერთი გაკვეთილი არ მოუსმენიათ.

ზოგიერთი სკოლის მოსწავლენი გავლილი მასალის სრულ უცოდინარობას ამჟღავნებენ. სოფ. საყუნეთის (ახალციხის რაიონი) 8 წლიანი სკოლის მოსწავლეებმა (მასწ. ს. ჩინჩალაძე) არ იციან, თუ ვინ არის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, წარმოდგენა არა აქვთ საბჭოთა საარჩევნო სისტემაზე, არ იციან, თუ რატომ ეწოდება ჩვენს ქვეყანას სოციალისტური და სხვ. გავლილი მასალის სრული უცოდინარობა გამოამჟღავნეს აგრეთვე ახალციხის რაიონის სოფ. ზიქილიის 8-წლიანი სკოლის მოსწავლეებმა. მათ არ ესმით, თუ რაში მდგომარეობს ბურჟუაზიული დემოკრატიის სიყალბე, სრულიად ვერაფერი სთქვეს უმაღლეს საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის ფუნქციებზე, წარმოდგენა არა აქვთ საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა უფლებებზე და მათ გარანტიებზე, მათ ვერ დაასახელეს სსრ კავშირის დედაქალაქიც კი.

ამავე რაიონის სოფ. აწყურის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა

(მასწ. ჭირაქაძე) ვერ დაასახელეს ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა. მათ არ იციან თუ რა მოვალეობა აქვთ დაკისრებული დეპუტატებსაც. ასევე, არადამაკმაყოფილებლად იციან გავლილი მასალა ქ. ახალციხის მეორე რუსული (მასწ. რაცი) და პირველი საშუალო (მასწ. მ. ეოსელიანი) სკოლების მე-8 კლასის მოსწავლეებმა.

ზოგ სკოლაში კონსტიტუციას ფორმალურად ასწავლიან, მოსწავლეები ასე თუ ისე ახერხებენ ფაქტიური მასალის გადმოცემას, მაგრამ ზეპირად, ეს მასალა მათ მტკიცედ შეთვისებული და სათანადოდ გააზრებული არა აქვთ; მაგალითად, მეტეხის (კასპის რაიონი) საშუალო სკოლის მოსწავლეები (მასწ. გიორგაძე), მართალია, მოგვითხრობენ იმ განსხვავების შესახებ, რაც არსებობს სსრ კავშირსა და კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური საფუძველს შორის, მაგრამ მათ კარგად არ ესმით თუ რაში მდგომარეობს მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობა, ან კიდევ, საწარმოო იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრების მნიშვნელობა, მოსწავლეებმა იციან აგრეთვე, რომ მეურნეობის სოციალისტურ სისტემასთან ერთად საბჭოთა კანონით დაშვებულია ერთპიროვნულ გლეხთა და შინამრეწველთა წვრილი კერძო მეურნეობა, მაგრამ მათ არ იციან, რომ ეს კერძო მეურნეობა დამყარებულია პირად შრომაზე და გამორიცხავს სხვისი შრომის ექსპლოატაციას და სხვ.

კასპის რაიონის ზემოხანდაკის 8-წლიანი სკოლის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ე. ქამხაძე) იციან, რომ სსრ კავშირში განხორციელებულია სინდისის თავისუფლება მაგრამ, თუ რას ნიშნავს სინდისის თავისუფლება—ეს კი მოსწავლეებს არ ესმით. საბჭოთა გერბის აღწერისას მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ მასზე წარწერილია „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!“, მაგრამ თუ ვის ეკუთვნის ეს სიტყვები, ან რომელ ნაშრომიდან არის ამოღებული,—ამის შესახებ მათ არაფერი იციან.

დასახელებულ სკოლებთან ერთად კონსტიტუციის არამტკიცე ცოდნას ამჟღავნებენ გურჯაანის საშუალო სკოლისა (მასწ. იაკობაშვილი) და ლაგოდეხის რაიონის სოფ. აფენის საშუალო სკოლის (მასწ. გიორგი იაკობის-ძე ბრეგაძე) მე-8 კლასის მოსწავლეები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. კონსტიტუციის მასწავლებლებმა: ა) სისტემატურად იზრუნონ იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლებაზე, გულდასმით ემზადონ თითოეულ გაკვეთილისათვის, ზედმიწევნით შეისწავლონ

მოცემული გაკვეთილისათვის საჭირო ლიტერატურა და მიაღწიონ იმას, რომ მოსწავლენი კურსს მთლიანი სახითა და გააზრებულად ითვისებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) საფუძვლიანად გაიმეორონ გავლილი მასალა, მასალის განმეორების ძირითად მიზნად დაისახონ მიღებული ცოდნის გაღრმავება-განზოგადება;

გ) კონსტიტუციის სწავლებაში მაქსიმალურად გამოიყენონ თვალსაჩინოება: რუკები, სქემები, დიაგრამები, ალბომები და სხვ. აგრეთვე ისარგებლონ ჟურნალ-გაზეთებით, მხატვრული ლიტერატურით და სათანადო კინოფილმებით;

დ) მჭიდრო კავშირი დაამყარონ ისტორიის საგნობრივი კომისიის ხელმძღვანელებთან, ისტორიის საგნობრივ კომისიის სხდომებზე განიხილონ კონსტიტუციის სწავლების ძირითადი საკითხებიც.

2. დაევალოს სკოლის დირექტორებს და სასწავლო ნაწილის გამგეებს:

ა) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი კონსტიტუციის მასწავლებლებზე, სისტემატურად დაესწრონ კონსტიტუციის გაკვეთილებს, მოახდინონ შედეგების გარჩევა, ამასთანავე კონსტიტუციის სწავლების საკითხი პერიოდულად განიხილონ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და დროულად მიიღონ შესაფერი ზომები შემჩნეული ნაკლის აღმოსაფხვრელად;

ბ) შეიძინონ კონსტიტუციის სწავლებისათვის საჭირო დიდაქტიკური ხელსაწყოები და მასალები (რუკები, სქემები, დიაგრამები, ალბომები და სხვ.), მიიღონ ზომები სასკოლო ბიბლიოთეკების პერიოდული ჟურნალ-გაზეთებით და საჭირო პოლიტიკური ლიტერატურით უზრუნველსაყოფად.

3. დაევალოს განათლების განყოფილების გამგეებს: შეამოწმონ კონსტიტუციის მასწავლებელთა მუშაობა და მიიღონ ზომები არსებული ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად, გამოავლინონ აღნიშნული საგნის სწავლებაში მოპოვებული მიღწევები და გაატარონ სათანადო ღონისძიებანი ამ მიღწევათა განსაზოგადებლად.

4. დაევალოს კადრების განყოფილებას კონსტიტუციის არადამაკმაყოფილებლად სწავლებისათვის 1948/49 სასწავლო წლიდან ჩამოერთვას კონსტიტუციის გაკვეთილები ახალციხის რაიონის სოფ. საყუნეთის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს ს. ჩინჩალაძეს.

5. კონსტიტუციის არადამაკმაყოფილებლად სწავლებისათვის მიეთითოთ: გურჯაანის საშუალო სკოლის მასწავლებელს იაკობ. შვილს; ლაგოდეხის რაიონის აფენის საშუალო სკოლის მასწავლე-

ბელს გიორგი იაკობის-ძე ბრეგაძეს; ახალციხის რაიონის აწყურის საშუალო სკოლის მასწავლებელს ა. ჭირაქაძეს და კასპის რაიონის ზემოხანდაკის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს გ. ქამხაძეს; გაფრთხილებულ იქნან ისინი, რომ, თუ მომავალ სასწავლო წლიდან არ გამოასწორებენ ჩამორჩენას—განთავისუფლებული იქნებიან მასწავლებლობიდან.

6. კონსტიტუციის სწავლებაზე არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისა და კონტროლის გამო მიეთითოს კასპის რაიონის ზემოხანდაკის რვაწლიანი სკოლის დირექტორს თ. საამოვს.

7. დაევალოს განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს ისტორიკოს ინსპექტორ-მეთოდისტთა საშუალებით სისტემატურად აწარმოოს ადგილებზე კონსტიტუციის სწავლების მდგომარეობის შემოწმება.

8. ეს ბრძანება განხილულ იქნეს საქართველოს სსრ ყველა რვაწლიანი და საშუალო სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე და მის შესრულებისათვის სათანადო ღონისძიებანი იქნეს გატარებული.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ვ. ძუპრაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 871

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1948 წლის 4 მაისს

ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური ინსტიტუტის მუშაობის შესახებ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 1947 წლის 16 იანვრის დადგენილებით აღნიშნა ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური ინსტიტუტის მუშაობის მთელი რიგი ნაკლოვანები. ამასთან დაკავშირებით საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ინსტიტუტის დირექციას დაუსახა ღონისძიებანი ინსტიტუტის სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ აღნიშნული დადგენილების საფუძველზე ძირფესვიანად გარდაჰქმნა თავისი მუშაობა და მნიშვნელოვან შედეგებსაც მიაღწია, რაც გამოირკვა ინსტიტუტის შემოწმებით მიმდინარე წლის მარტში.

ინსტიტუტმა რაციონალურად გამოიყენა მის განკარგულებაში არსებული სასწავლო კორპუსები, კაბინეტ-ლაბორატორიები, რამაც უზრუნველჰყო ინსტიტუტში ერთ წყებად მეცადინეობაზე გადასვლა და სასწავლო პროცესის ნორმალური მიმდინარეობა.

ინსტიტუტის დირექცია სისტემატურად, თვეში ერთხელ მაინც იწვევს სამეცნიერო საბჭოს სხდომებს, რომლებზედაც სწარმოებს სასწავლო-აღმზრდელობითი, მეთოდური და სხვა საკითხების განხილვა, ცალკეული ფაკულტეტებისა და კათედრების გამგეების მოხსენებათა მოსმენა—ჩატარებული სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის მდგომარეობის შესწავლისა და პროფესორ-მასწავლებელთა ლექციებზე ურთიერთდასწრების შედეგების შესახებ და სხვ., რაც მანამდე იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა ინსტიტუტის ცხოვრებაში.

თუ გასული სასწავლო წლის პირველ სემესტრში სტუდენტთა განთესვა 120 კაცს შეადგენდა, მიმდინარე სასწავლო წლის შესაბამის

სემესტრში ინსტიტუტიდან სხვადასხვა მიზეზით გარიცხულთა და განთესილთა საერთო რაოდენობა მინიმუმამდეა დაყვანილი. გასული სასწავლო წლის პირველ სემესტრში სტუდენტთა აბსოლუტური აკადემიური წარმატება მხოლოდ 63%-ს შეადგენდა, წელს კი სემესტრის ბოლოს სტუდენტთა აკადემიური წარმატება 85, 4%-თ გამოიხატება, ხოლო შემოწმების მომენტში, მიმდინარე წლის 20 მარტისათვის წარმატებამ უკვე 94%-ს მიაღწია. სტუდენტთა მთელ რაოდენობიდან ყველა საგანი ფრიადზე ჩააბარა 58 კაცმა (დაახლოებით 7%). ფრიადზე და კარგზე—124 კაცმა (დაახლოებით 15%). თუმცა 1—ლი სემესტრის სასესიო გამოცდების დამთავრებისას დავალიანება მაინც დარჩა 115 სტუდენტს, აქედან 1 საგანში—88 კაცს, 2 საგანში—20 კაცს, 3 და მეტ საგანში—7 კაცს.

წინა წლებთან შედარებით, უკეთესად ჩატარდა სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკა. 145 სტუდენტიდან ფრიადი შეფასება მიიღო 35 კაცმა, კარგი—72, საშუალო—37, ცუდი—მხოლოდ ერთმა სტუდენტმა. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ პედაგოგიური პრაქტიკის მსვლელობაში გამოირკვა ორი სტუდენტის სრული უწიგნურობა, რის გამო აღნიშნული სტუდენტები გარიცხულ იქნენ ინსტიტუტიდან.

ჯეროვანი ყურადღება აქვს მიქცეული სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობისათვის პირობების შექმნას, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ საჭიროებისამებრ გამოიყენონ ინსტიტუტის კაბინეტ-ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა და სამკითხველო. პროფესორ-მასწავლებლები სისტემატურად ატარებენ ლექციებსა და მოხსენებებს სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის საკითხებზე.

კარგად მუშაობს ინსტიტუტში არსებულ სტუდენტთა 12 სამეცნიერო წრე, რომელსაც სისტემატურ ხელმძღვანელობას უწევენ მიმაგრებული პროფესორ-მასწავლებლები.

მიმდინარე სასწავლო წელს მოეწყო 10 ექსკურსია ღირსშესანიშნავ ადგილებში და 2 ექსპედიცია; გამოშვებულ იქნა ხელნაწერი ჟურნალები და სპეციალური ბიულეტენები, რომლებიც მიეძღვნა მნიშვნელოვან თარიღებს. ჩატარდა სამეცნიერო კონფერენციები, ამ მხრივ აღსანიშნავია მარქსიზმ-ლენინიზმის, ქართული ენის, რუსული ენის, ისტორიის, გეოგრაფიის, პედაგოგიკის და სხვა კათედრები.

ინსტიტუტს აქვს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის კალენდარული გეგმა, რომელიც განხილული და დამტკიცებულია სამეცნიერო საბჭოს მიერ და სისტემატურადაც სრულდება. გეგმის

მიხედვით ტარდება ლექციები, თეორიული კონფერენციები, რომლებზედაც შუქდება საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები. მათი უპირატესობა ბურჟუაზიული მეცნიერების წინაშე; მაგალითად, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტმა გამოუშვა სპეციალური ბიულეტენი „საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები", სადაც მოთავსებული იყო დიდი რუსი მეცნიერების — ლომონოსოვის, ლოდიგინის, იაბლოჩკინის, პოპოვის ფოტოსურათები და წერილები მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

კარგად არის დაყენებული ფიზკულტურული მუშაობა, რასაც ხელს უწყობს კარგად მოწყობილი დარბაზი. ჩამოყალიბებულია 8 სექცია. სასექციო მუშაობაში ჩამბულია 161 სტუდენტი- კარგად მუშაობენ გიმნასტიკის, კრივის, ფრანგული და ქართული ჭიდაობის, ფეხბურთისა და ფრენბურთის სექციები. სტუდენტები სისტემატურად ღებენ მონაწილეობას კომკავშირულ და პროფკავშირულ კროსში და სხვ.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თემატიკაში მთავარი ადგილი უჭირავს ქართლის კომპლექსურად შესწავლას. შესწავლილ იქნა თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობები და შეგროვილ იქნა მდიდარი მასალა ქართლის ამ ნაწილის გეოლოგიიდან, მინერალოგიიდან, ნიადაგმცოდნეობიდან, ფოტოგეოგრაფიიდან, კლიმატოლოგიიდან, ჰიდროგრაფიიდან. რამდენიმე შრომა მიეძღვნა აგრეთვე ქართლის ისტორიულ და ლიტერატურულ წარსულს.

ინსტიტუტის დირექციის ხელმძღვანელობით, ქართული ენის კათედრას დიდი მუშაობა ჩაუტარებია სტუდენტთა შორის ქართული ენის წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის დონის ასამაღლებლად. სისტემატურად ტარდება სასწავლო ცხრილის გარეშე ყველა ფაკულტეტსა, კურსზე და ჯგუფში წერითი სამუშაოები. ამ სამუშაოთა სახეებს შეადგენენ: თავისუფალი თემა, ავტობიოგრაფია, წაკითხული ტექსტის მოკლე შინაარსის გადმოცემა, კარნახი, საქმიანი ქაღალდების (განცხადებების, ოქმებისა და სხვ.) შედგენა და ა. შ. მე-4 კურსის სტუდენტთათვის შემოღებულია ფაკულტეტური კურსი „ქართული ორთოგრაფიის საფუძვლები" და სხვ. ამ მუშაობამ მნიშვნელოვანი ნაყოფი გამოიღო, რაც ცხადჰყო მიმდინარე წლის მარტში ჩატარებული წერითი საკონტროლო სამუშაოს შედეგებმა.

საგრძნობი მიღწევები აქვს ინსტიტუტს რუსული ენის სწავლების დაყენებაშიც. ერთგვარ წარმატებას მიაღწიეს აგრეთვე ბუ-

ნებისმეტყველებისა და გეოგრაფიის ფაკულტეტებმა თავიანთი არსებობის მოკლე მანძილზე კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობის მხრივ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული მიღწევების მიუხედავად, ინსტიტუტის მუშაობაში ჯერ კიდევ არის რიგი ნაკლოვანებანი; მაგალითად, 1-ლ სემესტრში გეგმით გათვალისწინებული საათები სრულიად არ იქნა წაკითხული: ფსიქოლოგიაში, რუსულ სექტორზე (18 საათი), დარვინიზმში (20 საათი), თეორიულ მექანიკაში (40 საათი) და სხვ..

ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი სტუდენტთა მიერ მეცადინეობის გაცდენა არასაპატიო მიზეზით. 1-ლ სემესტრში გაცდენილია 12973 საათი, აქედან არასაპატიო მიზეზით-6940 საათი.

ჯერ კიდევ მოუწყობელია ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიები, ფიზიკის სწავლების მეთოდიკის კაბინეტი. ინსტიტუტს მჭიდრო კავშირი არა აქვს რაიონის საშუალო სკოლებთან და სათანადო დახმარებას ვერ უწევს მათ, არა აქვს კავშირი აგრეთვე ინსტიტუტის აღზრდილებთან, რომლებიც ამჟამად პედაგოგიურ მუშაობას ეწევიან სკოლებში. კვლავ დიდ პროცენტს აღწევს ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობაში ჩამსვლელ და შეთავსებით მომუშავე ლექტორთა რაოდენობა. ინსტიტუტს ჩამორჩენა აქვს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმების შესრულებაში, გასულ წელს გეგმით გათვალისწიმებული 40 თემის ნაცვლად, შესრულებულია მხოლოდ 32.

ინსტიტუტში დაცული არ არის სათანადო სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, საერთო საცხოვრებლებს არ მოეპოება საკმაო რაოდენობით საწოლები, თეთრეული, ლოგინი და სხვ., მოუწყობელია ინსტიტუტის კლუბი, ლექტორთა საერთო საცხოვრებელი თავის სანიტარულ-ჰიგიენური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებით სრულიად არ შეეფერება თავის დანიშნულებას და დასვენებისა და ლექციებისათვის მზადების შესაძლებლობას არ აძლევს ჩასულ პროფესორ-მასწავლებლებს.

ინსტიტუტის მუშაობაში არსებული დეფექტების აღმოსაფხვრელად, მიღწეულ წარმატებათა განსამტკიცებლად და შემდგომ წარმატებათა უზრუნველსაყოფად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს ინსტიტუტის დირექტორს:

ა) მიიღოს ზომები, რათა ანაზღაურებულ იქნას სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საათი, რომლებიც არ წაკითხულა ამა თუ იმ მიზეზით;

ბ) გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოოს სტუდენტთა მიერ არასაპატიო მიზეზით ლექციების გაცდენის წინააღმდეგ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიებისა და ცალკეულ დისციპლინათა სწავლების მეთოდიკის კაბინეტების მოსაწესრიგებლად, რათა შესაძლებელი გახდეს მათი მაქსიმალურად გამოყენება სასწავლო-აღმზრდელობითი მიზნებისათვის;

დ) მჭიდრო კავშირი დაამყაროს და დახმარება გაუწიოს რაიონის სკოლებს, აგრეთვე ინსტიტუტის აღზრდილებს, რომელნიც ამჟამად მასწავლებლებლად მუშაობენ სკოლებში;

ე) უმაღლესი სკოლის სამმართველოსთან ერთად დასახოს ღონისძიებანი, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ჩამსვლელ და შეთავსებით მომუშავე პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობა ინსტიტუტში;

ვ) უზრუნველჰყოს 1948 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმის მთლიანად შესრულება;

ზ) უზრუნველჰყოს ინსტიტუტში პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებში სანიტარულ-ჰიგიენური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, საერთო საცხოვრებლების მომარაგება საწოლებით, თეთრეულით, ლოგინით და სხვ., კლუბისათვის საჭირო ინვენტარის და მოწყობილობის შეძენა.

2. მატერიალური ფონდების განყოფილებამ ფონდების მიღებისთანავე გამოჰყოს გორის პედაგოგიური ინსტიტუტისათვის: სკამები, შალის საბნები, ლოგინის თეთრეული, ქვანახშირი, ქაღალდი და სხვ..

3. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ:

ა) გამოჰყოს ინსტიტუტის შენობის და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლების რემონტისათვის საჭირო საამშენებლო მასალები; უზრუნველჰყოს ტექნიკური დოკუმენტაცია და გაუწიოს კონტროლი სარემონტო მუშაობის მიმდინარეობას;

ბ) 1949 წ. კაპიტალური მშენებლობის სატიტულე სიაში გაითვალისწინოს გორის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუმთავრებელი კორპუსის მშენებლობა;

გ) უმაღლესი სკოლის განყოფილებას ვავალებ თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას და პერიოდულად მომახსენოს მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ვ. კუპრაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს სსრ დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა, საქართველოს სსრ რესპუბლიკაში დაუსწრებელი უმაღლესი პედაგოგიური განათლების მდგომარეობის შესახებ.

443

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს სსრ დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ დაუსწრებელ განყოფილებებს სესიებისათვის მხადება ორგანიზაციული მხრივ დამაკმაყოფილებლად ჩაუტარებიათ. დაუსწრებლებს დროულად ეცნობათ პრესისა და განათლების განყოფილებათა მეშვეობით სესიების დრო, დაეგზავნათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ლექციებისა და გამოცდების ცხრილები, რაც წინასწარ შეთანხმებული იყო პროფესორ-მასწავლებლებთან. მიღებული იყო ზომები სესიებზე სასწავლო პროცესის ნორმალური მიმდინარეობის უზრუნველსაყოფად, სტუდენტთათვის სათანადო საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად.

დაუსწრებელ განყოფილებებს წერილობითი კავშირი აქვთ დამყარებული დაუსწრებლებთან და ყოველ შეკითხვაზე პასუხს უგზავნიან შესაბამი დისციპლინების პროფესორ-მასწავლებელთა მეშვეობით. განათლების განყოფილებებს წინასწარ ეგზავნებათ კონსულტაციების მტკიცე ცხრილი, რომლის მიხედვითაც კონსულტაციები ტარდება საკონსულტაციო პუნქტებში ან თვით ინსტიტუტში. მაგალითად, თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილება 1 ოქტომბრიდან ~~ოთ~~ კვირაში ერთხელ ატარებდა კონსულტაციებს, რის შედეგად კონსულტაციები ჩატარებულ იქნა 23. 100 სტუდენტ-საათის რაოდენობით; ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დ/განყოფილებამ ოთხ საკონსულტაციო პუნქტში 900-მდე

ეროვნული ბიბლიოთეკა თბილისი

სტუდენტს გაუწია კონსულტაცია; გარდა ამისა, ორჯონიკიძის რაიონის განათლების განყოფილების თხოვნით ამ რაიონში რამდენჯერმე ჩატარდა კონსულტაციები; საერთოდ კი 23-ჯერ გაჰგზავნა ლექტორთა ჯგუფები 5—6 კაცის შემადგენილობით კონსულტაციების ჩასატარებლად. გორის პედაგოგიური ინსტიტუტის დ/ განყოფილება თითქმის ყოველკვირა ატარებდა კონსულტაციებს ხაშურში და თვით ინსტიტუტში.სოხუმისა და ბათუმის ინსტიტუტის დ/ განყოფილებები, რომელთაც საკონსულტაციო პუნქტი არა აქვთ, მთელ საკონსულტაციო მუშაობას თვით ინსტიტუტში ატარებდნენ. გარდა ამისა, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელმა განყოფილებამ ორ-ორჯერ ჩაატარა კონსულტაციები რაიონულ ცენტრებში, ბათუმის განყოფილება კი დეკემბერში, იანვარში, თებერვალსა და მარტში ყოველ კვირადღეს ატარებდა კონსულტაციებს ყველა დისციპლინაში; განყოფილებამ 11 ჯერ გაგზავნა ლექტორები რაიონულ ცენტრებში კონსულტაციების ჩასატარებლად: აღრიცხვის ცუდად დაყენების გამო, კონსულტაციის ჩატარების შესახებ ცნობები ვერ წარმოადგინეს სტალინირის პედაგოგიური, ზუგდიდისა და თელავის სამასწავლებლო ინსტიტუტების დაუსწრებელმა განყოფილებებმა, თუმცა ცნობილია, რომ ამ უკანასკნელს კონსულტაციები ჩაუტარებია ლაგოდეხის, ყვარლის და სიღნაღის რაიონებში.

არადამაკმაყოფილებელია დაუსწრებელთა გამოცხადება კონსულტაციებზე: მაგალითად, სასწავლო წლის პირველ ნახევარში ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში იყო შემთხვევები, რომ არც ერთი დაუსწრებელი არ გამოცხადებულა კონსულტაციებზე. ცხაკაიას საკონსულტაციო პუნქტში საანგარიშო პერიოდის მანძილზე რამდენჯერმე ჩაიშალა კონსულტაციები დაუსწრებელთა გამოუცხადებლობის გამო. სოხუმის ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებას აქვს კონსულტაციების ჩატარების სპეციალური დავთრები, სადაც იწერება, თუ რომელმა ლექტორმა სად, რა საგანში და რამდენი საათი ჩაატარა; მაგრამ დავთრებში ლექტორებს ხელი არა აქვთ მოწერილი, რის გამო შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ეს დავთრები ხელოვნურად იყოს გაფორმებული.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა დაუსწრებელთა მიერ საკონტროლო სამუშაოთა შესრულების მხრივ. მაგალითად, ბათუმის ინსტიტუტის დ/განყოფილებას, სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო, დღემდე პრაქტიკაში შემოღებული არა აქვს საკონტროლო სამუშაოთა სისტემა.

თბილისის ინსტიტუტის დაუსწრებლებს უნდა წარმოედგინათ 4164 საკონტროლო სამუშაო, წარმოდგენილია მხოლოდ 2649 (63,6%), მათ შორის არადამაკმაყოფილებლად შესრულებულია 244 (9,3%); ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებლებს უნდა წარმოედგინათ 2678 სამუშაო, წარმოდგენილია 810 (30,3%), რომელთაგან 186 (23.6%) შესრულებულია არა დამაკმაყოფილებლად; გორის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებლებს უნდა წარმოედგინათ 533 სამუშაო, წარმოადგინეს 260 (48.8%), აქედან 74 (28,5%) არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებლებს უნდა შეესრულებინათ 2085 სამუშაო, წარმოდგენილია 603 (28,9%); თელავის სამასწავლებლო ინსტიტუტის 902 დაუსწრებელთაგან სამუშაო შეასრულა 235 (126,1%) კაცმა. განსაკუთრებით ჩამორჩებიან სოხუმის დაუსწრებლები, რომელთაც 1190 საკონტროლო სამუშაოდან წარმოადგინეს მხოლოდ 279 (23,5%), ცალკეული ფაკულტეტების მიხედვით კი, ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დაუსწრებლები, რომელთაც 567 სამუშაოდან შეასრულეს მხოლოდ106 (18,7%), და ბუნებისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტები, რომელთაც 162 სამუშაოს ნაცვლად შეასრულეს მხოლოდ 29 (17,9%). სტუდენტების მიერ შესრულებული საკონტროლო სამუშაოები უმეტეს ნაწილად წიგნიდან გადაწერილია სიტყვა-სიტყვით, ან რომელიმე გარკვეული თავის კონსპექტს წარმოადგენს: სამუშაოებს არ ემჩნევათ სტუდენტთა შემოქმედებითი ჩვევები, თემისა და მასალის გააზრება, დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, სტუდენტის გონებრივი სიმწიფე. იშვიათია თემის რამდენიმე სახელმძღვანელოთი, დამხმარე ლიტერატურით ან პირველწყაროებით სარგებლობის შემთხვევები.

მარტში ჩვეულებრივი 10-დღიანი სესიის ნაცვლად ჩატარდა 7-დღიანი სესია, რის გამო დაუსწრებელმა განყოფილებებმა სასწავლო გეგმის მთლიანად შესრულება ვერ შესძლეს. გეგმის შეუსრულებლობა ნაწილობრივ გამოწვეული იყო ლექტორთა ავადმყოფობით (ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი), ლექციებზე გამოუცხადებლობით ან არადროულად გამოცხადებით (სტალინირის დაუსწრებელი განყოფილება), რის მიზეზი განყოფილებას დღემდე არ გამოურკვევია და არც მიუღია საჭირო ზომები გამცდენ ლექტორთა მიმართ.

სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე იყო ლექციების ჩაშლის რამდენიმე შემთხვევა იმის შედეგად, რომ დაუსწრებელი განყოფილებისა და სტაციონარის ლექციები ერთმანეთს დაემთხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არადამაკმაყოფილებელია დაუსწრებელთა გამოცხადება სესიებზე: თბილისის ინსტიტუტში 1961 დაუსწრებელთაგან გამოცხადდა 1257 კაცი (64,1%), ქუთაისში—1474-დან 874 (60%), სოხუმში—761-დან 442 (58,1%), რუსული სექტორის მესამე კურსის სტუდენტთაგან არც ერთი არ გამოცხადდა, ბათუმისაში—752-დან 584 (77,6%), გორისაში—449-დან 321 (73,7%), თელავისაში—230-დან 148 (64,4%), ზუგდიდისაში—110-დან 59 (53,6%), სესიებზე გამოუცხადებლობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლები აქვთ სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებლებს (37,3%).

გამოცხადება განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელია, ქ. თბილისიდან (58,5%), აბაშის რაიონიდან (47,8%), ვანის რაიონიდან (54,5%), ზუგდიდის რაიონიდან (50%), ქარელის რაიონიდან (29,4%), საგარეჯოს რაიონიდან (64,5%), სიღნაღის რაიონიდან (23,7%), თბილისის რაიონიდან (53,3%), ლანჩხუთის რაიონიდან (50%), სამტრედიის რაიონიდან (51,1%), ხობის რაიონიდან (18,8%), გეგეჭკორის რაიონიდან (45,1%) და სხვა.

დაბალია დაუსწრებელთა აკადემიური წარმატების მაჩვენებლები, რაც, იმით აიხსნება, რომ ზოგ ადგილას მათ სათანადო ხელმძღვანელობასა და კონტროლს არ უწევენ განათლებისა და პროფესიული კავშირის ადგილობრივი ორგანოები და დაუსწრებლებიც არასერიოზულ დამოკიდებულებას იჩენენ კვალიფიკაციის ამაღლებისადმი, არ ცხადდებიან კონსულტაციებსა და სესიებზე, არ აბარებენ გამოცდებს.

ზოგიერთი ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებას დღემდე არა აქვს მოწესრიგებული საგამოცდო სესიების შედეგებისა და დაუსწრებელთა პირადი დოკუმენტაცია; სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებას არ აღმოაჩნდა შემდეგ სტუდენტთა ატესტატები ან რაიმე ცნობა განათლების შესახებ: ელ. ფელანგიასი, ჭ. აქუბარდიასი, ქ. ნიკურაძისა, ა.ბუკიასი, დ. ბიგვავასი, ლ. ზარქუასი და მრავალი სხვა სტუდენტისა. ცუდად არის გაფორმებული მასალები და სასესიო გამოცდების დოკუმენტაცია. სტუდენტთა აკადემიური წარმატების საალრიცხვო ბარათებში შეტანილი არ არის ნიშნები. არის შემთხვევები, რომ სტუდენტის ბარათში

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ერთი ნიშანი არ არის შეტანილი, სტუდენტი კი IV კურსზე ირიცხება. სტუდენტი ედ. მელაძე ჩარიცხულია ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე 1943 წ., სესიებზე არ ცხადდება, არც ერთი საგანი არა აქვს ჩაბარებული და მაინც ითვლება სტუდენტად. ანალოგიური შემთხვევები მასობრივ მოვლენას წარმოადგენენ სტალინირისა და ზუგდიდის ინსტიტუტებში; აქ მრავლად მოიპოვებიან ასეთი „მკვდარი სულები", ბევრი სტუდენტი უფროს კურსზე ირიცხება მაშინ, როდესაც ჩაბარებული არა აქვთ წინა კურსების გამოცდები. სამინისტროს მიერ მრავალგზის მიცემული ბრძანებანი დოკუმენტაციის წარმოების შესახებ სტალინირის პედაგოგიურ ინსტიტუტს დღემდე არა აქვს შესრულებული. შედარებით კარგად არის გაფორმებული მისაღები გამოცდების დოკუმენტაცია ბათუმის ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაში, დიდი მუშაობაა ჩატარებული გასული სესიების დოკუმენტაციის მოსაწესრიგებლად. სრულ წესრიგშია დოკუმენტაცია თელავის სამასწავლებლო ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაში.

არადამაკმაყოფილებელი სახით ადგენენ ინსტიტუტების დაუსწრებელი განყოფილებანი სემესტრისა და წლიური მუშაობის ანგარიშებს.

დაუსწრებელი სწავლის მდგომარეობისა და ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს სსრ დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენენ:

I. ვინაიდან მასწავლებელთა დაუსწრებელი სწავლის საქმეს დაუსწრებელ განყოფილებათა მეტი ნაწილი სათანადოდ ვერ უძღვება, დაუსწრებელი სწავლების ქსელი გაფანტულია რესპუბლიკაში, რაც ხელს უშლის კვალიფიციურ პროფესორ-მასწავლებელთა უფრო რაციონალურად გამოყენებას და ამავე დროს ზედმეტ ხარჯებს იწვევს და აგრეთვე იმის გამო, რომ ცენზის არ მქონე მასწავლებლები ძირითადად ჩაბმული არიან დაუსწრებელ სწავლაში:

1. შეწყდეს 1948/49 სასწავლო წლიდან დაუსწრებელთა მიღება სოხუმის, გორის, ბათუმის, სტალინირის პედაგოგიურ ინსტიტუტებში, ხოლო არსებული დაუსწრებელი განყოფილებანი დატოვებულ იქნას, როგორც სალიკვიდაციო.

2. წინადადება მიეცეს ყველა ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებას:

ა) მიმდინარე წლის 1 ივნისამდე სავსებით მოაწესრიგონ სტუდენტთა გამოცდების დოკუმენტაცია და პირადი საქმეები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) დაუყოვნებლად გარიცხონ ინსტიტუტიდან ის პირნი, რომელთაც არა აქვთ ატესტატები და სხვა დადგენილი საბუთები, აგრეთვე ის პირნი, რომელთაც ჩაბარებული არა აქვთ წინა კურსების ყველა ჩათვლა-გამოცდა;

გ) არ დასტოვონ დაუსწრებელ განყოფილებაზე ის პირნი, რომელნიც ფორმალურად ირიცხებიან სტუდენტებად და უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან დაუსწრებელ სწავლას;

დ) უზრუნველჰყონ გეგმით გათვალისწინებული ყველა სასწავლო პროცესის შესრულება დაუსწრებელთა მიერ (კონსულტაციებზე და სესიებზე გამოცხადება და დასწრება, საკონტროლო სამუშაოთა შესრულება და სხვა);

3. დაევალოთ განათლების განყოფილებებს და პროფკავშირის ადგილობრივ ორგანოებს:

ა) პერიოდულად განიხილონ მასწავლებელთა დაუსწრებელი სწავლის მდგომარეობის საკითხები;

ბ) გამოამჟღავნონ დაუსწრებელთა მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა თავიდან ასაცილებლად და საქმის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;

გ) ყოველმხრივი და სისტემატური დახმარება, ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიონ დაუსწრებელ სწავლაში ჩაბმულ მასწავლებლებს;

დ) გამოავლინონ სათანადო პედაგოგიური ცენზის არმქონე მასწავლებლები და ჩააბან დაუსწრებელ სწავლაში;

ე) მიიღონ სათანადო ზომები იმ დაუსწრებელთა წინააღმდეგ, რომელნიც უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან დაუსწრებელ სწავლას და წაახალისონ წარმატების მქონენი;

ვ) დაავალონ სკოლის დირექტორებს და ადგილკომებს თვალყური ადევნონ დაუსწრებელ სწავლაში ჩაბმულ მასწავლებელთა აკადემიურ მუშაობას, კონსულტაციებსა და სესიებზე გამოცხადებას, აკადემიური დავალიანების ლიკვიდაციას;

ზ) პერიოდულად მოიწვიონ დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულ მასწავლებელთა თათბირები და ამ თათბირებზე განიხილონ დაუსწრებელი სწავლის ხელშემშლელი პირობები;

თ) მჭიდრო კავშირი დაამყარონ დაუსწრებელ განყოფილებებთან და მათი საშუალებით მუდამ იყვნენ დაუსწრებელთა აკადემიური მუშაობის საქმის კურსში;

ი) დაევალოს რაიონულ პედაგოგიურ კაბინეტებს მომსახურეობა გაუწიონ დაუსწრებელ სწავლაში ჩაბმულ მასწავლებლებს კონსულტაციებით, კაბინეტში არსებული სახელმძღვანელოებით, დამხმარე წიგნებითა და ლიტერატურით სარგებლობისათვის ყოველგვარი პირობის შექმნით.

4. დაევალოს გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციას სისტემატურად გააშუქოს დაუსწრებელი უმაღლესი პედაგოგიური განათლების საკითხები.

5. დაევალოს უმაღლესი სკოლის სამმართველოს:

ა) გააძლიეროს დაუსწრებელ განყოფილებათა მიმართ ხელმძღვანელობა და კონტროლი;

ბ) უზრუნველჰყოს დაუსწრებელი განყოფილებანი კვალიფიციურ პროფესორ-მასწავლებელთა კადრებით;

გ) უზრუნველჰყოს დაუსწრებელი სწავლის სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის მეშვეობით სახელმძღვანელოების, მეთოდური მითითების, პროგრამების, სასწავლო გეგმებისა და დოკუმენტაციის ფორმების დროული და სრულად გამოცემა საგამომცემლო გეგმის მიხედვით;

დ) გაუწიოს ხელმძღვანელობა და კონტროლი ამ დადგენილების ყველა მუხლის შესრულებას.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ვ. კუპრაძე.

საქართველოს დაწყებითი და საშუალო
სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ა. მურუსიძე.

1948 წ. 11 მაისი.

ვამტკიცებ.
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე.
27 მაისი, 1948 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მითითებანი საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტის ლაბორანტის მუშაობის შესახებ

საშუალო სკოლაში ფიზიკის სწავლების ამოცანას წარმოადგენს შეაიარაღოს მოსწავლეები არა მარტო თეორიული ცოდნით, არამედ მისცეს მათ პრაქტიკული ხასიათის ჩვევები, რათა ადვილად აითვისონ ჩვენი ქვეყნის ტექნიკური სიმძლავრე, რომელიც სტალინური ხუთწლედების უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენს.

ამ მიმართულებით ფიზიკის სწავლების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფიზიკის კაბინეტის ლაბორანტის შტატის შემოღებას საშუალო სკოლაში.

რიგ სკოლებში უკვე მუშაობენ ლაბორანტები. ლაბორანტის დახმარებით ფიზიკის მასწავლებლებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს პრაქტიკული მუშაობა, ტარდება უკეთესად მომზადებული და მეტი რაოდენობის ცდები და ლაბორატორიული სამუშაოები, მოსწავლეებში გაიზარდა ინტერესი ფიზიკისადმი და ისინი უფრო აქტიურად ებმებიან, როგორც პრაქტიკულ, ისე თეორიულ მუშაობაში. ამ მოვლენამ კი ბუნებრივად გამოიწვია აკადემიური წარმატების აღმავლობა.

ამავე დროს სკოლების ერთ ნაწილში ლაბორანტებად მუშაობენ ამ საქმისათვის ცოდნითა და გამოცდილებით შეუფერებელი პირები; არის შემთხვევა, როცა ლაბორანტის თანამდებობა შეთავსებული აქვს სკოლის ისეთ მუშაკს, რომელიც გადატვირთულია სხვა სამუშაოთი და თითქმის სრულებით არ მუშაობს ფიზიკის ლაბორატორიაში.

შემჩნეული ნაკლის გამოსასწორებლად საჭიროა სკოლის ხელმძღვანელებმა უზრუნველჰყონ ლაბორანტებად ისეთი პირების შერჩევა, რომლებიც არიან არანაკლებ საშუალო განათლებით (დამთავრებული აქვთ სპეციალური ტექნიკუმი ან საშუალო სკოლა) და აქვთ ექსპერიმენტალური მუშაობის რაიმე გამოცდილება ან ხელოსნური ჩვევა.

ლაბორანტის მუშაობა, რომელიც ფიზიკის კაბინეტის გამგის ხელმძღვანელ და საჭირო შემთხვევაში მისი უშუალო დახმარებით

იწარმოებს (განსაკუთრებით პირველ ხანებში, როცა ლაბორანტი ნაკლებ გამოცდილი იქნება) უნდა განისაზღვროს შემდეგი საკითხ-ბის მოგვარებით:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

I. ფიზიკის კაბინეტის წესრიგში მოყვანა და მისი ინვენტარიზაცია.

ფიზიკის კაბინეტის ნაყოფიერი მუშაობისათვის საჭიროა ხელსაწყოები დალაგდეს მჭიდროდ დახურულ კარადებში, ფიზიკის დარგების მიხედვით (მექანიკა სითბო, ელექტრობა და სხვა[1]) კარადები უნდა დაინომროს ფიზიკის კაბინეტში მათი დალაგების რიგის მიხედვით და გაუკეთდეს წარწერა, მაგ., კარადა № 1, კარადა № 2 და სხვ.

კაბინეტი წესრიგში მოჰყავს კაბინეტის გამგეს ლაბორანტის დახმარებით.

როგორც წესი, ფიზიკის კაბინეტის ქონება აღრიცხულია სკოლის საერთო საინვენტარო წიგნში, რომელიც სკოლის ბუღალტერიაში ინახება. თვით კაბინეტში კი უნდა შეიქმნას ფიზიკის კაბინეტის საინვენტარო ჟურნალი, რომელსაც ექნება ოთხი განყოფილება: 1. ხელსაწყოების, 2. მასალებისა და ჭურჭლის, 3. იარაღებისა და 4. ლიტერატურის აღრიცხვისათვის.

პირველი განყოფილება, რომელშიაც ხელსაწყოები აღირიცხება უნდა დაიგრაფოს შემდეგი სახით.

№№ რიგ.	სკოლის საინვენტ. წიგნ. №	ხელსაწყოების დასახელება	რაოდენობა	კარადა	დაზიანების აღნიშვნა	შენიშვნა
		მ ე ქ ა ნ ი კ ა				
1	830	ბლოკი ლითონის, ორი კაუჭით	5 ც.	1		
2	831	ჟიროსკოპი, კომბინირებული	1 ც.	1		
3	924	თ ა რ ა ზ ო	5 ც.	1	ერთი ცალი გატყდა 15/XI—1947 წ.	
4	925	ცენტრალური ქანქანა . .	1 ც.	11	სახელური მოტყდა 25/IX—47 წ.	შეკეთებ. 13/10—27 წ.
5	926	რეგულატორი, უატის .	1 ც.	11		

[1]) დაწვრილებით ამ საკითხზე იხილეთ Знаменский—„Методика преподавания физики в средн. школе“, 1947 г.

ხელსაწყოები საინვენტარო წიგნში უნდა აღირიცხოს ფიზიკის დარგების მიხედვით იმავე მიმდევრობით, როგორც ისინი განლაგებულია კარადებში. ამავე დროს ყოველი დარგის ბოლოს დატოვებული უნდა იქნეს ადგილი მომავალში შეძენილი ხელსაწყოების შესატანად. ხელსაწყოები სავალდებულო წესით უნდა დაინომროს: თითოეულ ხელსაწყოს უნდა მიემაგროს მცირე ზომის ლითონის ან მუყაოს წრე, რომელზეც იქნება წარწერა, მაგ. „1/5 რეგულატორი, უატ ს (II)“.

წარწერა ასე უნდა გავიგოთ: წილადის მრიცხველი (1) უჩვენებს დარგს, ამ შემთხვევაში „მექანიკას“, რომელსაც ეკუთვნის ეს ხელსაწყო, ხოლო მნიშვნელი (5) არის მისი რიგითი ნომერი ℓ გრაფის მიხედვით. ფრჩხილებში ჩასმული რიცხვი (II) კი უჩვენებს კარადას, რომელშიაც იგი ინახება.

ცხადია, იარლიკი ისე უნდა მიემაგროს ხელსაწყოს, რომ არ დაარღვიოს მისი სიზუსტე და ხელი არ შეუშალოს ცდის ჩატარებას.

საინვენტარო ჟურნალის მეორე განყოფილება, რომელშიაც მასალები და ჭურჭელი აღირიცხება უნდა დაიგრაფოს შემდეგი სახით:

№№ რიგ.	მასალისა და ჭურჭლის დასახელება	რაოდენობა	კარადა	დახარჯვის ან გატეხვის აღნიშვნა	ნაშთი წლის ბოლოსათვის	შენიშვნა:
1	2	3	4	5	6	7
1	კალიუმის ბიქრომატი	1 კგ.	V	0,3 კგ.	0.4 კგ.	
2	გოგირდმჟავა	0,5 ლ.	V	0.2 კგ., 0,1 კგ. 0.1 ლ.; 0.2 ლ. 0.1 ლ.	0.1 ლ დაიხარჯა	
3	შაბიამანი, სპილენძის .	0.5 კგ.	VI	0.3 კგ.; 0.2 კგ.	44 ც.	
4	სინჯარები	50 ც.		2 ც. გატყდა 1 ც. „ 2 ც. „ 1 ც. „	9 ც.	
5	კოლბები	10 ც.	VI	1 ც. „		

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. მე-5 გრაფის შევსება უნდა ხდებოდეს მუშაობის პროცესში, ხოლო მე-6 გრაფისა კი სასწავლო წლის ბოლოს, ფიზიკის კაბინეტის ინვენტარიზაციის დროს.

2. არ არის საჭირო მასალა და ჭურჭელი დაინომროს.

3. კარადა ქიმიური რეაქტივებით არ შეიძლება ინახებოდეს ფიზიკის კაბინეტში.

ფიზიკის კაბინეტის საინვენტარო ჟურნალის მესამე განყოფილებაში უნდა აღირიცხოს ფიზიკის კაბინეტთან არსებული სახელოსნოს იარაღები იმავე ფორმით, რა ფორმითაც აღრიცხულია ხელსაწყოები ამავე ჟურნალის პირველ განყოფილებაში (ცხადია, მე-3 გრაფაში „ხელსაწყოების დასახელების" ნაცვლად უნდა ჩაიწეროს „იარაღების დასახელება").

სახელოსნოს იარაღები შეიძლება არ დაინომროს, მაგრამ უნდა მოიხაზოს კონტური კარადაში ან კედელზე, სადაც დევს, ან ჰკიდია იგი.

დასასრულ, დასახელებული ჟურნალის მეოთხე განყოფილებაში უნდა აღირიცხოს ლიტერატურა, რომელიც გამოყენებული იქნება ადგილზე სარგებლობისათვის.

ლიტერატურის აღრიცხვა უნდა მოხდეს იმავე წესით, რა წესითაც ხდება წიგნების ინვენტარიზაცია სასკოლო ბიბლიოთეკაში.

კლას-ლაბორატორიაში კედლებზე უნდა გაიკრას ფიზიკური შინაარსის ნახაზები, ცხრილები, პლაკატები და სურათები. უნდა ხდებოდეს მათი შეცვლა საპროგრამო მასალის გავლის პარალელურად. კლას-ლაბორატორია უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სათანადო დგამით, წყლით, ელექტრო-გაყვანილობით, დაბნელებით და სხვა.

II. მუშაობა ლაბორატორიაში და დღიურის წარმოება.

ლაბორანტმა ფიზიკის მასწავლებლის დავალებით წინასწარ უნდა მოამზადოს სადემონსტრაციო ცდებისა და ლაბორატორიული სამუშაოსათვის საჭირო მასალები და ხელსაწყოები, და შეამოწმოს მათი ვარგისიანობა. მუშაობის სწორი ორგანიზაციისათვის საჭიროა ლაბორატორიის დღიურის წარმოება. ლაბორატორიის დღიური უნდა წარმოადგენდეს ჟურნალს, რომელშიაც თითოეულ კლასს ცალ-ცალკე გამოყოფილი ექნება იმდენი ფურცელი, რამდენიც საკმარისი იქნება მოცემულ კლასში წლის განმავლობაში ჩასატარებელი ცდებისა და ლაბორატორიული სამუშაოების აღრიცხვისათვის.

ლაბორატორიის დღიური შემდეგი ფორმისა უნდა იყოს:

. . . . . სკოლის ფიზიკის ლაბორატორიის დღიური.

. . . . . სასწავლო წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ რიგზე	თვე და რიცხვი	პრაქტიკული სამუშაოს სახე	ჩასატარებელი ცდებისა და ლაბორატორული მუშაობისათვის საჭირო ხელსაწყ. და მასალები	შესრულების აღნიშვნა	შენიშვნა
1	2	3	4	5	
		მე-8 კლასი			
1	. . .	ლაბორატორიული სამუშაო წყლის ორთქლადქცევის სითბოს განსაზღვრა	კოლბა წყლით. ბერანჟეს სასწორი საწონებით. თერმომეტრი. სანოურა შტატივი. ხრონომეტრი. სარევი, ასანთი	ჩატარდა	
2	. . .	. . . . .	. . . . .	. . . . .	
3	. . .	. . . . .	. . . . .		
		მე-10 კლასი			
1	. . .	ლაბორატორიული სამუშაო. ბგერის სიჩქარის გაზომვა სხვადასხვა ნივთიერებაში	იხილეთ სოკოლოვის „ფიზიკის კურსი", ნაწ. 11, § 30	ჩატარდა	
2	. . .	. . . . .	. . . . .		
		მე 11 კლასი			
1		ცდები კონდენსატორებზე: 1) კონდენსატორის დამუხტვა და დაცლა; 2) კონდენსატორის ტევადობის შემცირება და გადიდება.	ლეიდენის ქილა. დამცველი. ელექტროფორული მანქანა. ცვლადი ტევადობის კონდენსატორი. ზარის მავთული	ჩატარდა	

შენიშვნა: თუ ლაბორანტი საკმაოდ კვალიფიციურია, მაშინ შესაძლებელია დავალება პრაქტიკული სამუშაოსათვის საჭირო ხელსაწყოებისა და მასალების მომზადების შესახებ მიეცეს ზეპირსიტყვიერად და არა წერილობით.

ასეთი დღიურის წარმოება სასარგებლოა, როგორც მომავალი მუშაობის სწორი აგებვისათვის, ისე ჩატარებული მუშაობის აღრიცხვისათვის: ლაბორატორიის დღიურში ნათლად გამოჩნდება წლის განმავლობაში ჩატარებული ცდებისა და ლაბორატორიული

სამუშაოების რაოდენობა, სახეები და სხვა, ცალკე კლასების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაბორატორიის დღიურში ცდებისა და ლაბორატორიული მუშაობისათვის საჭირო ხელსაწყოებსა და მასალებს წინასწარ ჩასწერს ფიზიკის მასწავლებლები თავიანთი კლასების მიხედვით. იმ შემთხვევაში, როცა საჭირო ხელსაწყოები და მასალები ჩამოთვლილია სახელმძღვანელოში, მაშინ მასწავლებელი მიუთითებს სათანადო პარაგრაფს.

ლაბორანტი ვალდებულია არა მარტო მოამზადოს ცდებისა და ლაბორატორიული სამუშაოებისათვის საჭირო ხელსაწყოები და მასალები, არამედ დაესწროს კიდეც მათ ჩატარებას კლას-ლაბორატორიაში გამოცდილების შეძენისა და მასწავლებლისადმი საჭირო დახმარების გაწევის მიზნით.

ცდებისა და ლაბორატორიული სამუშაოსათვის საჭირო ხელსაწყოებისა და მასალების მომზადება, მაგიდებზე მათი განლაგება, პრაქტიკული მუშაობისათვის საჭირო დეტალების წინასწარ გათვალისწინება (წყალი, ელ. ენერგია, დაბნელება), მუშაობის დამთავრების შემდეგ ხელსაწყოების დასუფთავება და მათი კარადებში მოთავსება, კაბინეტის ქონების მოვლა-შენახვის წესების მტკიცედ დაცვა ლაბორანტის უშუალო მოვალეობას შეადგენს.

III. ზრუნვა ფიზიკის კაბინეტის შევსებაზე.

ფიზიკის კაბინეტის შევსება სისტემატურად უნდა სწარმოებდეს, ლაბორანტი მასწავლებლის მითითებით ან თავის ინიციატივით უნდა დაუკავშირდეს თვალსაჩინო ხელსაწყოებით მოვაჭრე ორგანიზაციებს ხელსაწყოების შეძენის მიზნით და ისეთ სახელოსნოებს, რომელთაც შეუძლიათ ხელსაწყოების რთულ დაზიანებათა შეკეთება. საჭიროა ლაბორანტმა იქონიოს ჩვეულებრივი რვეული, რომლებშიდაც ჩასწერს შესატანი ნივთიერების სახელწოდებას და რაოდენობას.

IV. სახელოსნოს მოწყობა ფიზიკის კაბინეტთან და მისი მუშაობა.

ფიზიკის მასწავლებელმა ლაბორანტის დახმარებით კაბინეტთან უნდა მოაწყოს ხელსაწყოების შემკეთებელი სახელოსნო, შეიძინოს ისეთი მოწყობილობანი, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ფიზი-

კის კაბინეტის დაზიანებული ხელსაწყოების შეკეთება და თვითნაკეთი ნივთების დამზადება.

ამ საქმეში უკეთესი შედეგების მიღწევისათვის საჭიროა ფიზიკის მასწავლებელმა და ლაბორანტმა სახელოსნოსთან შემოიკრიბონ ფიზიკისა და ტექნიკის მოყვარულ მოსწავლეთა აქტივი. ასეთ სახელოსნოში მოსწავლეები მოიპოვებენ ფართო გასაქანს თვითმოქმედებისათვის, მოსწავლეს საშუალება მიეცემა ისარგებლოს ერთის მხრივ მასწავლებლისა და ლაბორანტის კონსულტაციით, ხოლო მეორეს მხრივ სახელოსნოს იარაღებით და მისი მომზადებისა და ინტერესის მიხედვით შეაკეთოს დაზიანებული ხელსაწყო და დაამზადოს ესა თუ ის თვითნაკეთი ნივთი.

მასწავლებლისა და ლაბორანტის კარგი ხელმძღვანელობით მოსწავლეთა აქტივიდან შეიძლება აღიზარდოს მომავალი ლაბორანტი.

V. ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა.

როგორც მასწავლებელს, ისე ლაბორანტსა და სახელოსნოსთან შემოკრებილ მოსწავლეთა აქტივს დიდ დახმარებას გაუწევს ლიტერატურა ფიზიკის კაბინეტისა და ლაბორატორიის შესახებ. საჭიროა აგრეთვე შეძენილ იქნეს აღწერითი კატალოგები, მეთოდური ხასიათის წიგნები, ჟურნალები და კრებულები.

პირველ რიგში შეიძლება რეკომენდებულ იქნეს შესაძენად:

1. ფიზიკის სახელმძღვანელოები (ყველა კლასის)
2. Знаменский — „Методика преподавания физики в средней школе", 1947 г.
3. Галанин и др. — „Физический эксперимент в школе" რვა ტომეული
4. ვიქტ. კვიმსაძე, გ. კობახიძე და შ. ჟღენტი — „ფიზიკის ხელსაწყო-იარაღების გამოყენება საშუალო სკოლაში", თბილისი 1947 წ. სახელგამი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ.
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი: ვ. კუპრაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მითითებანი საშუალო სკოლის ლაბორანტის მუშაობის შესახებ ქიმიაში

ქიმიის სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად ცხოვრებაში გატარებულ ღონისძიებათა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქიმიის ლაბორანტთა შტატის შემოღებას საშუალო სკოლაში. მთელ რიგ სკოლებში მოწვეულია შესაფერი მომზადების მქონე ლაბორანტები. ასეთ სკოლებში სისტემაშია მოყვანილი ქიმიის ლაბორატორიის მეურნეობა, გაიზარდა ჩასატარებელი ცდების რაოდენობა, ხარისხიანობა და სათანადო ადგილი დაეთმო ექსპერიმენტული ამოცანების ამოხსნას ქიმიაში.

ყოველივე ამის შედეგად ასეთ სკოლების მოსწავლეთა თეორიული ცოდნა და პრაქტიკულ საქმიანობაში დახელოვნება საგრძნობლად ამაღლდა.

მაგრამ, ზოგიერთ სკოლაში ლაბორანტთა დანიშვნის მიუხედავად, ქიმიის სწავლების გაუვალსაჩინოებისა და პრაქტიკული ჩვევების დანერგვის საკითხი უცვლელად არის დარჩენილი. ამის მიზეზად უნდა ჩაითვალოს ლაბორანტთა დანიშვნის საკითხის ფორმალურად გადაწყვეტა. მთელ რიგ სკოლებში ლაბორანტებად მოწვეული არიან ისეთი პირები, რომელნიც ნაკლებად ერკვევიან ქიმიური ექსპერიმენტის საკითხებში, სათანადოდ არ იცნობენ ქიმიის კურსს და ამის გამო ვერავითარ დახმარებას ვერ უწევენ სკოლას საგნის სწავლების გაუმჯობესების საქმეში.

არსებული ნაკლის გამოსწორებისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ ლაბორანტის მუშაობის შინაარსი და აქედან გამომდინარე მოთხოვნილებანი, რომელთაც ქიმიის ლაბორანტი უნდა აკმაყოფილებდეს.

საშუალო სკოლის ქიმიის ლაბორანტის მოვალეობას შეადგენს:

1. ლაბორატორიის მეურნეობის მოვლა და შევსებაზე ზრუნვა, რისთვისაც ლაბორანტმა უნდა შესძლოს:

ა) ხელსაწყოებისა და ქიმიური ჭურჭლის კლასიფიკაცია ქიმიის ლაბორატორიებში მიღებული სისტემის მიხედვით და მათი შენახვა-დაცვა.

ამ საქმის მოსაწესრიგებლად საჭიროა დაცული იქნეს მათი განლაგება შემდეგი წესით: საზომი ხელსაწყოები, მინის ჭურჭელი, რკინის იარაღები და გასახურებლად გამოსაყენებელი ხელსაწყოები ცალკ-ცალკე კარადებში ან თაროებზე უნდა ინახებოდეს (დაწვრილებითი ცნობები იხილეთ: Проф. В. Берховский. „Техника и методика химического эксперимента в школе“ т. I; ნ. ჯაფარიძე, საშუალო სკოლის ქიმიის ლაბორატორია).

ბ) რეაქტივების განლაგება კარადებში გარკვეული სისტემის მიხედვით. რეაქტივების კლასიფიკაცია და შენახვის რამდენიმე სისტემაა ცნობილი. თუ რეაქტივების რაოდენობა საკმაოდ დიდია, მაშინ მათი განლაგება მიზანშეწონილია კათიონების მიხედვით; შეიძლება აგრეთვე, საშუალო სკოლაში რეაქტივების სიმცირის გამო, მასალათა დალაგება ანიონების მიხედვით, ხოლო მარტივი ნივთიერების, ჟანგეულთა და ჟანგეულთა ჰიდრატების კარადის ცალცალკე თაროებზე მოთავსება.

მჟავები კი სრულიად ცალკე კარადაში ან ამწევი კარადის ქვედა განყოფილებაში უნდა ინახებოდეს;

გ) ლაბორატორიაში არსებული ხელსაწყო-იარაღების და ჭურჭლის სიის შედგენა და აღრიცხვის წარმოება. ხელსაწყოთა სიაში აღინიშნება ნომერი კარადისა და თაროსი, სადაც ინახება ხელსაწყო და ჭურჭელი; ამავე სიაში ცალკე სვეტში სისტემატურად უნდა აღინიშნოს ხელსაწყოებისა და ჭურჭლის დაზიანების შემთხვევები. სიის შესადგენად გამოდგება ჩვეულებრივი რვეული, რომელიც უნდა დაიხაზოს შემდეგი სქემის მიხედვით.

. . . . . სკოლის ქიმიის ლაბორატორიის ხელსაწყოებისა და ჭურჭლის სია

№№	საგნის დასახელება	რაოდენობა	ფასი	კარადა და თარო	დაზიანდა	ნაშთი წლის ბოლოსათვის	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8
1	მინის საზომი იარაღები						
1	ქიმ. თერმომეტრი 120°	4	—	½			

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№	საგნის დასახელება	რაოდენობა	ფასი	კარადა და თარო	დაზიანდა	ნაშთი წლის ბოლოსათვის	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8
2	ბიურეტი (50 მლ)	6	—	I/2			
3	მენზურა (250 მლ)	5	—	I/2			
	II მინის ჭურჭელი						
1	ქიმ. ჭიქა (250 მლ)	14	—	II—1			
2	კოლბა (100 მლ)	25	—	II—2			
3	კოლბა (250 მლ)	10	—	II—2			
	III ფაიფურის ჭურჭელი						
1	ჯამი (დიამ-10 სმ)	4	—	II—3			
2	ტიგელი (სიმაღლე—4 სმ) . .	6	—	II—4			
3	როდინი (დიამ)	4	—	II—4			
	IV რკინის იარაღები						
1	შტატივი	10	—	III—1			
2	შპადელი	12	—	III—2			
3	ტიგელის მაშა	4	—	III—2			
	V გახახურებელი ხელსაწყო						
1	სპირტნათურა	10	—	III—2			
2	ელ. ფილა	4	—	III—			

დ) **რეაქტივების სიის შედგენა და არიცხვის წარმოება.** რეაქტივების განკუთვნილ ადგილზე მოთავსებისათვის აუცილებელია თითოეული რეაქტივის შესანახ ჭურჭელზე აღინიშნოს ნომერი კარადისა და თაროსი, რომელზედაც რეაქტივი ინახება.

რეაქტივების გეგმიანად შეძენისათვის საჭიროა სიაში ამისათვის გამოყოფილ სვეტში ყოველი მეოთხედის დამთავრებისას აღინიშნოს დახარჯული რეაქტივის რაოდენობა. წლის დამლევს კი სიაში აღინიშნება დარჩენილ რეაქტივთა სია. ასეთი სიის შესადგენად გამოიყენება ჩვეულებრივი რვეული, რომელიც უნდა დაიხაზოს შემდეგი სახით.

. . . . . სკოლის ქიმიის ლაბორატორიის რეაქტივების სია

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№	საგნის დასახელება	რაოდენობა	ფასი	კარადა და თარო	დაიხარჯა	ნაშთი ბოლოს წლის ბოლოსათვის	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8
	I მარტივი ნივთიერებები						
1	ნატრიუმი	150Გ	—	IV—1			
2	გოგირდი	300„	—	IV—1			
3	მაგნიუმის ლენტი	25„	—	IV—1			
4	მაგნიუმის ფხვნილი	50„	—	IV—1			
	II ჟანგეულები						
1	მაგნიუმის ჟანგი	300„	—	IV—2			
2	კალციუმის ჟანგი	200„	—	IV—2			
	III მეტალთა ჰიდროჟანგეულები						
1	ნატრიუმის ჰიდროჟანგი . .	300„	—	IV—2			
2	კალიუმის ჰიდროჟანგი . . .	200„	—	IV—2			
	IV მჟავები						
1	აზოტის (კ. წ. 1,19)	1კლგ	—	ამწ. კარადა			
2	გოგირდის (1,84)	2„	—	XX„			
	V მარილები						
	ა) ქლორიდები						
1	ნატრიუმის	2კლგრ	—	V—1			
	ბ) სულფატები						
2	ნატრიუმის	1კლგრ	—	V—2			

2. სადემონსტრაციო ცდების, ლაბორატორიული გაკვეთილისა და პრაქტიკული მუშაობის ჩასატარებლად საჭირო ხელსაწყოების აწყობა და რეაქტივების ხსნართა დამზადება.

ამ საქმის მოსაწესრიგებლად ლაბორანტმა უნდა შესძლოს არსებული სახელმძღვანელოებისა და პრაქტიკულ სამუშაოთა

სახელმძღვანელოების გამოყენება და საჭირო შემთხვევაში ერთი ხელსაწყოსა, ან რეაქტივის მიზანშეწონილად შეცვლა მეორეთი.

(იხ. ნ ჯაფარიძის და შ. ცაგარეიშვილის პრაქტიკული მუშაობანი არაორგანულ ქიმიაში და სტაბილური სახელმძღვანელოები, проф. В. Верховский, „Техника и методика химического эксперимента в. школе". т. II).

3. ლაბორატორიის დღიურის წარმოება. მასწავლებლის მითითებათა საფუძველზე ლაბორანტმა წინასწარ უნდა მოამზადოს სადემონსტრაციო, ან ლაბორატორიული ექსპერიმენტისათვის საჭირო ხელსაწყოები და რეაქტივები. ამისათვის მასწავლებელთან ერთად ადგენს ჩასატარებელ ცდებისათვის საჭირო ხელსაწყოებისა და რეაქტივების სიას. ეცნობა ცდების ჩატარების ტექნიკას და წინასწარ ამოწმებს, ცდის ჩატარების საფუძველზე, ხელსაწყოებისა და რეაქტივების ვარგისიანობას და ცდის ჩატარების ტექნიკას.

ამ საქმის მოსაწესრიგებლად შემოღებულ უნდა იქნას, თითოეული კლასისათვის ცალკე, საექსპერიმენტო მუშაობის აგეგმვისა და აღრიცხვის დღიური, რომელსაც ასეთი სახე უნდა მიეცეს:

. . . . . სკოლის . . . . . კლასში ცდების აგეგმვის რვეული

თარიღი	გაკვეთილის მასალა	ექსპერიმენტი და მისი სახე	საჭირო ხელსაწყოები და რეაქტივები	შენიშვნა
1	2	3	4	
„	ჟანგბადის მიღება და მისი თვისებების გაცნობა	ჟანგების მიღება (სადემონსტრაციო ცდები.	I. რეტორტა—1 ცალი, შტატივი—1, სპირტნათურა—1, გაზის შესაგროვებელი ცილინდრი—3, ჟანგბადში ნივთიერებათა დასაწვავი კოვზი—3, ტიგელის მაშა—1, ასანთი. II. ბერტოლეს მარილი—12გ, მანგანუმის ორჟანგი—4—6გ, ხის ნახშირი—2—3 ნატეხი, წითელი ფოსფორი ქილით, გოგირდი ქილით, ფოლადის მავთული—10 სმ, ქერქის საცობი—1ც.	

4. ლაბორატორიაში უშიშროების წესების დაცვა და საჭირო შემთხვევაში პირველი დახმარების გაწევა. (იხ. ბ ჟიკვიძის და ნ. ჯაფარიძის—ქიმიის მეთოდიკის საკითხები).

5. თვითნაკეთი ხელსაწყოების აწყობა. საჭირო მი-
თითებები მოიპოვება რუსულ ჟურნალში "Химия в школе" (1934—
40 წლების გამოცემა), Проф. В. Верховский, „Техника и методика
химического эксперимента" т. т. I и II. ბ. კიკვაძე და ნ. ჯაფარიძე—
„ქიმიის მეთოდიკის საკითხები" და სხვ...

ლაბორანტის თანამდებობაზე უნდა დაინიშნოს ისეთი პირი, რომელიც იცნობს საშუალო სკოლის ქიმიის კურსს, დახელოვნებულია ქიმიური ცდების ჩატარების ტექნიკაში, აქვს მინის დამუშავების პრაქტიკული ჩვევები, პრაქტიკულად იცის ტექნიკურ-ქიმიური სასწორის და ელექტრული ხელსაწყოების გამოყენება. ამასთანავე ლაბორანტმა რუსული ენა იმდენად უნდა იცოდეს, რომ შესძლოს რუსულ სპეციალურ ლიტერატურაში და ცნობარებში გარკვევა.

ლაბორანტად შეიძლება დაინიშნოს ისეთი პირები, რომელნიც აკმაყოფილებენ დასახელებულ პირობებს და დამთავრებული აქვთ ტექნიკუმი (ქიმიური განხრით) ან საშუალო სკოლა და დახელოვნებული არიან ქიმიური ცდების ჩატარების ტექნიკაში.

დაუშვებელია ლაბორანტის მოვალეობის შეთავსება ქიმიის მასწავლებლის მიერ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ:
საკ. სსრ განათლების მინისტრის
მოადგილე ბ. ბურჯუნაძე
5 მაისი. 1948 წ.

ინსტრუქცია

ბავშვთა მეურვეობის, გაშვილებისა და უფლებრივი დაცვის შესახებ

ბავშვთა მეურვეობის, გაშვილებისა და უფლებრივი დაცვის შესახებ ხელმძღვანელ ორგანოების დადგენილებების ცხოვრებაში გამტარებელ ორგანოებად ითვლებიან საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებები.

ბავშვის გაშვილება, მეურვეობის ან მზრუნველობის დაწესება, მისი გაუქმება, მეურვეთა ან მზრუნველთა დანიშვნა, მათი დათხოვნა, ქონების გაყიდვის ნებართვის გაცემა, საჩივრების, ანგარიშისა და ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, ხორციელდება განათლების განყოფილების მიერ.

ბავშვთა მეურვეობის, გაშვილებისა და მზრუნველობის დარგში პრაქტიკული მუშაობისას სავალდებულოა ხელმძღვანელობა შემდეგი დოკუმენტებით:

ა) საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს 1935 წლის 3 მაისის დადგენილებით „ბავშვთა უპატრონობისა და უმეთვალყურეობის ლიკვიდაციის შესახებ;"

ბ) საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსით (გამ. 1947 წ.).

1. ბავშვთა გაშვილების გაფორმებისას საჭიროა შემდეგი საბუთების წარმოდგენა:

ა) მოქალაქის განცხადება, რომელსაც სურს იშვილოს მცირეწლოვანი;

ბ) გასაშვილებელი მცირეწლოვანის უფლებაჩამოურთმეველი მშობლების ან მეურვეობის წერილობითი თანხმობა;

გ) იმ პირის მეუღლის თანხმობა, რომელსაც სურს იშვილოს ბავშვი;

დ) თუ გასაშვილებელი ბავშვი 10 წლისაა, საჭიროა მისი თანხმობა, როგორც გაშვილებაზე, ისე შვილად ამყვანის გვარისა და ძეობის მიღებაზე;

ე) მშვილებლის შიერ სათანადო სახლთმმართველობიდან მიღებული ცნობა ბინის ფართობისა და ოჯახური მდგომარეობის შესახებ;

ვ) მშვილებლის ჯანმრთელობის შესახებ;

ზ) მშვილებლის დახასიათება და სამსახურის ადგილიდან ცნობა ხელფასის შესახებ;

თ) მშვილებლის ოჯახური საყოფაცხოვრებო პირობების გამორკვევის აქტი რაიგანათლების განყოფილების დასკვნით;

ი) რაიგანათლების განყოფილების ნებართვა ბავშვის გაშვილებაზე.

5. შვილად შეიძლება აყვანილ იქნას მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვი და მხოლოდ ბავშვის ინტერესებისათვის.

6. შვილად აყვანის უფლება აქვს ყოველ სრულწლოვან მოქალაქეს, გარდა იმ პირებისა:

ა) ვინც საქ. სსრ კონსტიტუციის თანახმად „მოკლებულია საარჩევნო უფლებას";

ბ) ვისაც სასამართლოს წესით ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება;

გ) ვისი ინტერესებიც ეწინააღმდეგება გასაშვილებლის ინტერესებს.

7. გაშვილება ხდება რაიგანათლების განყოფილების გადაწყვეტილებით და ტარდება რეგისტრაციაში საერთო წესით „მმაჩ„ ში, რომელსაც ეგზავნება რაიგანათლების განყოფილების გადაწყვეტილების ასლი.

8. იმ ბავშვების გაშვილებისას, რომლებსაც არ ჰყავთ მშობლები და იმყოფებიან საბავშვო სახლებში, აუცილებელია განათლების სამინისტროს საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლების განყოფილების ნებართვა.

9. დასაშვებია მეურვემ ან მზრუნველმა იშვილოს მისივე მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვი. ამ შემთხვევაში ის აღარ სარგებლობს მეურვის, მზრუნველის უფლებით და უკანასკნელი მიენიჭება ახლად დანიშნულ მეურვეს, მზრუნველს, რომლებმაც უნდა ჩაიბარონ ბავშვის ქონება.

შენიშვნა: დადგენილების გამოტანა შვილად აყვანის შესახებ ამ შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ მის შემდეგ, როდესაც მეურვე მეურვეობაში მოცემულის ქონებას ახლად დანიშნულ მეურვეს ჩააბარებს.

10. დასაშვებია რამდენიმე ბავშვის შვილად აყვანა.

11. შვილად აყვანილი და მისი შთამომავლობა შვილად ამყვანის მიმართ და შვილად ამყვანი შვილად აყვანილისა და მისი შთამომავლობის მიმართ შეიძენენ ყველა პირად და ქონებრივ უფლებამოვალეობას, როგორც შთამომავლობით ნათესავები. ამავე დროს, შვილად აყვანილი და მისი შთამომავლობა კარგავენ უფლებას და თავისუფლდებიან ყველა მოვალეობისაგან სხვა თავიანთ შთამომავლობრივ ნათესაობის მიმართ.

12. შვილად აყვანილის ინტერესების დარღვევის შემთხვევაში მშვილებელთა მიერ საქმე აღიძრება სასამართლოს წესით გაშვილების გასაუქმებლად.

ყოველი გაშვილების შემთხვევა აღირიცხება განათლების განყოფილების მიერ და დოკუმენტები ჩაეკერება გაშვილების საქმეში.

II. მეურვეობის ან მზრუნველობის გაფორმებისათვის აუცილებელია შემდეგი საბუთების წარმოდგენა:

ა) მოქალაქის განცხადება, რომელსაც სურს მეურვეობა ან მზრუნველობა;

ბ) სახლის მმართველობის ცნობა ამ მოქალაქის საცხოვრებელი ბინისა და ოჯახური მდგომარეობის შესახებ;

გ) დახასიათება და ცნობა ხელფასის შესახებ სამუშაო ადგილიდან;

დ) ცნობა მეურვეობაზე ასაყვან ბავშვთა მშობლების გარდაცვალების შესახებ ან სხვა საბუთები, რომლებიც დაადასტურებენ მერვეობის აუცილებლობას;

ე) საბუთი მეურვის წლოვანების შესახებ;

ვ) მეურვის საყოფაცხოვრებო პირობების გამორკვევის აქტი რაიგანათლების განყოფილების სათანადო დასკვნით;

ზ) რაიგანათლების განყოფილების დადგენილება მეურვეობის აუცილებლობაზე.

2. მეურვეობა და მზრუნველობა წესდება მხოლოდ სამეურვეო პირის კანონიერი ინტერესებისა და აგრეთვე ქონების დაცვისათვის.

3. მეურვეობა წესდება მცირეწლოვანებზე 14 წლამდე და იმ პირებზე, რომლებიც საექიმო კომისიის მიერ ცნობილი არიან სუსტებად ან სულით ავადმყოფებად.

4. მზრუნველობა წესდება იმ მოზარდებზე 14—18 წლამდე და სრულწლოვანებზე, რომლებსაც ფიზიკური და ფსიქიური მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ დამოუკიდებლად დაიცვან თავიანთი უფლება.

5. მეურვეობა წესდება აგრეთვე უგზო-უკვლოდ დაკარგულის ან გარდაცვალებულის ქონებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. მეურვეებად ან მზრუნველებად ინიშნებიან სამეურვეო პირის მახლობელი, ხოლო თუ ასეთები არ არიან, დაინიშნებიან სახლის მმართველობის, პროფორგანოს ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი პირები.

7. მეურვეობა ან მზრუნველობა წესდება სამეურვეო სამზრუნველო პირის საცხოვრებელი ადგილის (ან ქონების) მიხედვით.

8. მეურვის ან მზრუნველის შერჩევისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ამ პირის პირადი თვისებები, აგრეთვე ის, თუ რამდენად შესწევს მას დაკისრებული მოვალეობის შესრულების უნარი და რა დამოკიდებულებაშია იმ პირთან, რომელსაც ის მეურვედ ან მზრუნველად ენიშნება, აგრეთვე მეურვეობის გაწევის სურვილი.

9. მეურვეებად ან მზრუნველებად არ შეიძლება დაინიშნონ შემდეგი პირები:

ა) სასამართლოს წესით ხმის უფლება-ჩამორთმეულნი,

ბ) სამეურვეო პირთან ცუდ განწყობილებაში მყოფნი და

გ) მცირეწლოვანები.

10. შესაძლებელია განთავისუფლებულ იქნან მეურვე-მზრუნველის მოვალეობის დაკისრებიდან შემდეგი მოქალაქენი:

ა) მამაკაცები, რომელთაც შეუსრულდათ 55 წელი და დედაკაცები 50 წლის ასაკისა;

ბ) ის პირები, რომელთაც საპატიო მიზეზის გამო არ შეუძლიათ შეასრულონ დაკისრებული მოვალეობა;

გ) პირები, რომლებიც ზრდიან ორ ან მეტ ბავშვს;

დ) ორსული ქალები და დედები, რომელთაც ჰყავთ ბავშვები 8 წლამდე;

ე) პირები, რომლებიც უკვე ითვლებიან მეურვეებად ან მზრუნველებად.

11. მეურვენი, მზრუნველები ვალდებულნი არიან სამ თვეში ერთხელ წარმოუდგინონ წერილობითი ანგარიში რაი-განათლების განყოფილებას. მეურვის ან მზრუნველის ანგარიში უნდა შეიცავდეს ცნობებს ქონების მმართველობის ან სამეურვეო პირის შემოსავლის შესახებ, და აგრეთვე იმაზედაც, თუ როგორ სრულდება ზრუნვა სამეურვეო-სამზრუნველო პირზე, როგორია მისი ჯანმრთელობა, როგორ სწავლობს და ვითარდება საზოგადო სასარგებლო მოღვაწეობისათვის.

12. მეურვეობის ან მზრუნველობის შეწყვეტისას მეურვე ან მზრუნველი ადგენს საერთო ანგარიშს ქონების გამგებლობაზე.

13. თუ ბავშვებს მოეპოებათ პირადად კუთვნილი ქონება, ამ შემთხვევაში მშობლები-მშვილებლები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ ანგარიში მათ ქონებაზე.

14. მეურვეობის ან მზრუნველობის მოვალეობა, როგორც წესი, სრულდება უსასყიდლოდ.

შენიშვნა: შემოსავლის არსებობისას, მეურვეს ან მზრუნველს ჯილდოს სახით შეიძლება მიეცეს არაუმეტეს 10%-ს ქონების წმინდა შემოსავლიდან.

15. მეურვეობაში მიცემული პირის შენახვისათვის საჭირო ხარჯი, რასაც განათლების განყოფილება საჭიროდ და სასარგებლოდ სცნობს, გაიღება მეურვეობაში მიცემულის ქონების შემოსავლიდან, ხოლო უკეთუ ქონების შემოსავალი საკმარისი არ არის, ან ეს ქონება არავითარ შემოსავალს არ იძლევა, თვით ამ ქონებიდან, რომელიც შეიძლება გაყიდულ იქნეს განათლების განყოფილების ნებართვით.

შენიშვნა: თუ სამეურვეო პირს ქონება არა აქვს, სამეურვეო სამზრუნველო ორგანო სოცუზრუნველყოფის ორგანოს წინაშე აღძრავს შუამდგომლობას სახსრების გაცემის შესახებ სამეურვეო პირის შესანახად.

16. ყოველ მეურვეობაზე დგება პირადი საქმე, რომელშიდაც ჩაიკერება ყველა საბუთი მეურვეობის დანიშვნის შესახებ, მეურვეობის ქვეშ მყოფის ქონების აღწერილობის აქტი, მეურვის ხელწერილით, სახალხო განათლების განყოფილების მიერ წარმოებული გამორკვევანი და განკარგულებანი, მეურვის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები და სხვ. საქმე წარმოებაშია მეურვეობის გაუქმებამდე. მეურვეობის გაუქმების შემდეგ პირად საქმეში ჩაიკერება გაუქმების თარიღი და აქტი გადაეცემა არქივს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ.
საქ. სსრ განათლების მინისტრის
მოადგილე **მ. ბურჭულაძე.**
5 მაისი, 1948 წ.

ინსტრუქცია

ბავშვთა გადაცემის შესახებ აღსაზრდელად მშრომელთა ოჯახებში.

პატრონატი

1. პატრონატი ანუ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა გადაცემა აღსაზრდელად მშრომელთა ოჯახებში წარმოადგენს საზოგადოებრივი დახმარების ერთერთ ფორმას ბავშვთა დაცვის და ბავშვთა უმეთვალყურეობისა და უპატრონობასთან ბრძოლას სახელმწიფოებრივ სისტემაში.

2. უდედმამოდ დარჩენილი ბავშვის პატრონატზე, ანუ აღსაზრდელად აყვანა შეუძლია ყველა მუშის, მოსამსახურისა და კოლმეურნის ოჯახს.

3. პატრონატზე აყვანა ხდება შეთანხმების საფუძველზე. პატრონატზე ამყვანად არ შეიძლება დაშვებულ იქნან სასამართლოს მიერ საარჩევნო ხმის უფლებააყრილნი. მშობლიურ უფლება ჩამორთმეულნი, სულით ავადმყოფნი, მცირეწლოვანნი და აგრეთვე ის პირნი, რომელთა ინტერესებიც ბავშვის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

4. აღსაზრდელად გაიცემიან ბავშვები, რომლებმაც მშობლები დაკარგეს, ან გაწყვეტილი აქვთ მათთან კავშირი რაიმე მიზეზით, საბავშვო სახლის აღსაზრდელები და სხვა.

არ შეიძლება პატრონატზე გაცემა იმ ბავშვებისა, რომლებიც დაავადებული არიან მწვავე ან ქრონიკული გადამდები სნეულებით.

5. პატრონატზე გაცემას აწარმოებენ: 3 წლიდან 14 წლამდე ასაკის ბავშვებისას — ქალაქის ადგილებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში სახალხო განათლების საქალაქო ან სარაიონო განყოფილებანი, 5 თვიდან 3 წლის ასაკამდე ბავშვებისას — ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებანი. სოფლის ადგილებში ბავშვების პატრონატზე გაცემას აწარმოებენ აგრეთვე სოფლის საბჭოები.

პატრონატზე გაცემა ფორმდება ხელშეკრულებით, რომელიც დაიდება ბავშვის გამცემ სახალხო განათლების განყოფილების გამგესა და ბავშვის ამყვან პირს შორის. სოფლის ადგილებში ხელშეკრულებას ხელს აწერს ბავშვის გამცემი ორგანოს ხელმძღვანელი და ბავშვის ამყვანი პირი. აღნიშნული ხელშეკრულება უნდა გატარდეს რეგისტრაციაში სასოფლო საბჭოში და ასლი გადაიგზავნოს განათლების განყოფილებაში.

ხელშეკრულების დადებამდე დაწვრილებით უნდა იქნას გამორკვეული ამყვან ოჯახის საყოფაცხოვრებო პირობები და ყველა წევრთა ჯანმრთელობის მდგომარეობა, რაზედაც უნდა დაიწეროს აქტი.

7. პატრონატზე მყოფი ბავშვი, სამი წლის ასაკის შესრულების შემდეგ, ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების მიერ გადაეცემა შემდეგი უზრუნველყოფისათვის სახალხო განათლების განყოფილებას, რომელიც ახალ ხელშეკრულებას დებს იმავე აღმზრდელთან. 14 წლის ასაკის შესრულების შემდეგ მოზარდი იგზავნება სახალხო განათლების განყოფილების შეხედულებისამებრ სახელოსნო, სარკინიგზო ან საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში სასწავლებლად, ან წარმოებაში სამუშაოდ, საბავშვო სახლის აღსაზრდელების თანაბრად. ამ შემთხვევაში ხელშეკრულება პატრონატის შესახებ ძალას კარგავს.

შენიშვნა: პატრონატის გაგრძელება 16 წლის ასაკამდე დასაშვებია გამონაკლის შემთხვევაში (ავადმყოფობა, ბეჯითი სწავლა და სხვა). პატრონატზე გაცემის დროს ბავშვს ეძლევა ერთდროულად ტანსაცმელი და ფეხსაცმელი და ყოველთვიურად შესანახი დახმარება ადგილობრივ ბიუჯეტში საამისოდ გათვალისწინებულ თანხებიდან, რაც უნდა აღინიშნოს ხელშეკრულებაში.

8. თუ პატრონატის ქვეშ მყოფს ეძლევა პენსია ან ალიმენტი, ეს თანხა გადაეცემა ამყვანს ყოველთვიური დახმარების ანგარიშში. თუ პენსია ან ალიმენტი აღემატება ყოველთვიური დახმარებისათვის განსაზღვრული თანხის რაოდენობას, მაშინ ყოველთვიური დახმარება აღარ გაიცემა და პენსია ან ალიმენტი მიეცემა მთლიანად პატრონატზე ამყვანს, რაც უნდა იქნეს მოხსენებული ხელშეკრულებაში.

9. სახალხო განათლების სარაიონო (საქალაქო) განყოფილებას ევალება:

ა) პატრონატზე ამყვანი ოჯახის საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა;

ბ) ყოველთვიური შესანახი დახმარების გაცემა;

გ) ხელშეკრულების დადება ამყვან პირთან;

დ) ამყვანი ოჯახისათვის დახმარება ბავშვის აღზრდისა და სწავლის საქმეში;

ე) მეთვალყურეობა ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე,

ვ) მოზარდის შრომითი მოწყობა დაწესებული ასაკის შესრულების შემდეგ.

სახალხო განათლების სარაიონო (საქალაქო) განყოფილება აწარმოებს მეთვალყურეობას და კონტროლს, როგორც მის მიერ გაცემულ ბავშვებზე, აგრეთვე იმათზედაც, რომლებზედაც მზრუნველობენ სასოფლო საბჭოები.

სასოფლო საბჭოები ხუთი დღის ვადაში, დღიდან ხელშეკრულების დადებისა, გზავნიან ცნობას სახალხო განათლების სარაიონო განყოფილებაში 3—14 წლის ასაკის ბავშვთა პატრონატზე გაცემის შესახებ ამყვანი ოჯახის მისამართის ჩვენებით და ბავშვის პირადი ბარათის დართვით. ცნობები სამი წლისა და უმცროსი ბავშვების შესახებ იგზავნება ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებაში.

10. პატრონატის ქვეშ მყოფ ყველა ბავშვზე უნდა შესდგეს პირადი საქმე, რომელშიდაც შეიტანება:

ა) პატრონატზე ამყვანის განცხადება;

ბ) აქტი ამყვანი ოჯახის საყოფაცხოვრებო პირობების წინასწარი გამოკვლევისა და ოჯახის წევრთა და ბავშვის ჯანმრთელობის შესახებ;

გ) ასლი დაბადების მოწმობისა ან სხვა დოკუმენტის, რომელიც ბავშვის ასაკს დაადასტურებს;

დ) ბავშვის პირადი ბარათი (დანართი № 3).

ე) ხელშეკრულება პატრონატის შესახებ, რომელშიც უნდა აღინიშნოს ყოველთვიური დახმარების გაცემა თარიღის ჩვენებით. პირადი ბარათის თითო ცალი იგზავნება საოლქო სახალხო განათლების განყოფილებაში ან ასსრ განათლების სამინისტროში პატრონატის ქვეშ მყოფ ბავშვთა აღსარიცხავ წიგნში შესატანად. მათვე ეგზავნება ცნობა პატრონატიდან გასვლის ან პატრონატის შეწყვეტის შესახებ (დანართი № 2 და № 3).

11. ბავშვის პატრონატზე გაცემის დროს სახალხო განათლების განყოფილება იღებს ზომებს მისი ქონების დაცვისა და ბავშვის სასარგებლოდ მიზანშეწონილად გამოყენებისათვის. მეურვეობა ინიშნება ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით. ბავშვს პირად საქმეში ამის შესახებ შეიტანება შესაფერი ცნობა.

12. პატრონატის ქვეშ მყოფი ბავშვის გაშვილება შეიძლება კანონის შესაბამისად. გაშვილების მომენტიდან ხელშეკრულება პატრონატის შესახებ ძალას კარგავს.

13. ბავშვთა პატრონატზე კონტროლის განხორციელების საქმეში უნდა იქნეს ჩაბმული საბჭოთა საზოგადოებრივობა, საქალაქო სარაიონო საბჭოების ბავშვთა უმეთვალყურეობასთან მებრძოლ სექციების სახით.

14. იმ შემთხვევაში, თუ ამყვანი აღებულ ვალდებულებას არადამაკმაყოფილებლად ასრულებს, მიღებულ უნდა იქნეს საზოგადოებრივი ზეგავლენის ზომები. ის პირი, რომელიც პატრონატს ბოროტათ გამოიყენებს და ბავშვს უყურადღებოდ და მატერიალური დახმარების გარეშე დატოვებს, მიეცემა პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასკვნა

ბავშვის გადაცემა პატრონატზე ამ ოჯახში მიზანშეწონილია თუ არა . . . . . .

. . . . . .

თანდართული საბუთების დასახელება . . . . . .

. . . . . .

გამომრკვევის ხელისმოწერა:

„ . . “ . . . . . 194 წ.

ა ქ ტ ი

პატრონატზე ამყვანი ოჯახის შემოწმებისა

1. გვარი, სახელი და მამის სახელი იმ პირისა, რომელსაც აჰყავს ბავშვი პატრონატზე . . . . . .
2. მისამართი (დაწვრილებით) . . . . . .

. . . . . .

3. მანძილი პატრონატზე ამყვან ოჯახიდან რაიონის ცენტრამდე „ . . . “ კმ., მახლობელი საექიმო დაწესებულებამდე, რომელიც გაუწევს ბავშვს საექიმო ზედამხედველობას „ . . . “ კმ.
4. შემადგენლობა ოჯახის, რომელშიაც უნდა მიიღოს ბავშვი .

ოჯახის წევრების ჩამოთვლა, რომლებიც ცხოვრობენ ერთად	ასაკი	სიქმიანობა	ყოველთვიური ხელფასი	ჯანმრთელობის მდგომარეობა (სამკურნალო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობების ჩამოთვლა. თარიღის, ნომრის და შინაარსის ჩვენებით)

5. ბინა, საყოფაცხოვრებო პირობები.
6. ვის უნდა დაეკისროს ამ ბავშვის აღზრდაზე შეთვალყურეობა .

. . . . . .

გამორკვევა ჩატარდა: „ . . “ . . . . . 194 წ.

გამომრკვევი . . . . . .

(გვარი, სახელი, მამის სახელი)

თანამდებობა . . . . . .

(წარმომადგენელი სახლმმართველობის, კოლმეურნეობის, საბჭოს ან სხვა)

ხელშეკრულება დაიდო
„. . . „. . . . . 194 . . . წ.
ბავშვის სისტემატური მეთვალ-
ყურეობა დაეკისრა

. . . . . .
რომელ დაწესებულებას, მისამართი
ხელის მოწერა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელშეკრულება

194 . . წ . . . . . თვე . . . . . რიცხვი ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრიდან . . . . . განათლების განყოფილების წარმომადგენელი . . . . . .
(გვარი, სახელი და მამის

. . . . . .
სახელი, თანამდებობა, მისამართი)

მეორე მხრიდან . . . . . .
(მისამართი, გვარი, სახელი და მამის სახელი)

დავდეთ შემდეგი ხელშეკრულება . . . . . .

. . . . . .
(ბავშვის სახელი და მამის სახელი, დაბადების წელი, თვე და რიცხვი) აღსაზრდელად, (პატრონატზე) გაცემის გამო.

ყავს მახლობელი ნათესავები . . . . . .
(გვარი სახელი, მამის სახელი)

მისამართი . . . . . მოქ . . . . . .

ამ აქტის ხელის მოწერის დღიდან ითვლება პატრონირებულ ბავშვის შეურვეედ და ვალდებულია:

1) შეინახოს ბავშვი სუფთად, უზრუნველჰყოს ჩაცმა-დახურვა და ლოგინით.

2) იზრუნოს აღსაზრდელის სწავლა-აღზრდაზე, უზრუნველჰყოს სასწავლო ნივთებით და სკოლაში სიარულით.

3. იზრუნოს მის ჯანმრთელობაზე და საჭირო შემთხვევაში აღმოუჩინოს საექიმო დახმარება.

4. შეასრულოს სკოლის, ექიმის და შემოწმების დროს მიცემული მითითებანი და დარიგება ბავშვის აღზრდის საკითხებთან დაკავშირებით.

5 . . . . . განათლების განყოფილება ვალდებულია:

გადაუხადოს მოქ . . . . . .

ყოველთვიური დახმარება ბავშვის შენახისათვის . . . . . მან . . .
რაოდენობით

ხელშეკრულება ძალაშია . . . . . .

. . . . . განათლების განყოფილების
გამგე:

ბავშვის ამყვანი პირი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირადი ბარათი

ცნობები ბავშვის შესახებ პატრონატზე გადაცემისა

1. გვარი, სახელი და მამის სახელი . . . . . .

. . . . . .

2. დაბადების წელი, თვე, რიცხვი . . ვაჟი . . . ქალი . .

3. ობოლი, ყავს მამა, ყავს დედა, ყავს ორივე მშობელი . .

. . . . . .

4. საიდან არის აყვანილი ბავშვი, რომელ დაწესებულებიდან

5. ჯანმრთელობის მდგომარეობა (პატრონატზე გაცემის დროს): ჯანმრთელია, ავად არის (რით) . . . . . .

6. კანი (სუფთა, არა) . . . . . .

7. წონა . . . . . .

8. ბავშვის ფიზიკური განვითარება . . . . . .

9. მეტყველება . . . . . .

10. რა ავადმყოფობა აქვს გადატანილი . . . . . .

. . . . . .

11. რა და რა ცნობები და დოკუმენტები ჩაბარდა მოქ. . .

. . . . . .

(დოკუმენტების დასახელება).

12. როდის გადაეცა პატრონატზე . . . . . .

თვე . . . . . წელი . . . . . .

შენიშვნა: ჩამოთვლილი ცნობების ასლი გადაეცემა იმ დაწესებულებას, რომელსაც დაეკისრა მეთვალყურეობა ბავშვის აღზრდაზე.

. . . . . განათლების განყოფილების

. . . . . გამგე . . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ქ ტ ი

პატრონატზე მყოფი ბავშვის საყოფაცხოვრებო პირობების შემოწმებისა.

შემოწმების თარიღი . . . . 194 . . . შემმოწმებლის გვარი სახელი თანამდებობა . . . . . .

1. გვარი, სახელი, მამის სახელი პატრონატზე ამყვანისა . . . . . .

2. მისამართი . . . . . .

3. ბავშვის გვარი, სახელი და მამის სახელი . . . . . ასაკი . . . . . .

4. ბავშვი ჯანმრთელად არის, ავად არის (რით) . . . . . კანი სუფთა აქვს, არა . . . . . .

5. ბავშვის განვითარება: აქტიურობა, მხიარულად არის, მოწყენილია, მეტყველებს, წარმატება სწავლაში . . . . . .

6. ბავშვი სუფთაა, ჭუჭყიანია, არასაკმაოდ სუფთაა (წაშალეთ რაც საჭირო არ არის)

7. რა ვადებში იბანება . . . . . .

8. აქვს თუ არა ცალკე საწოლი . . . . . .

9. აქვს თუ არა საკმარისი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ქვეშაგები, სათამაშოები, სასწავლო ნივთები, რა აკლია . . . . . .

10. როგორ ურთიერთობაში არიან მასთან ოჯახის წევრები.

11. ვინ უვლის ბავშვს.

შემმოწმებლის დასკვნა:

ბავშვის ცხოვრების პირობები: კარგია, დამაკმაყოფილებელია, ცუდია (აუცილებელია ბავშვის ჩამორთმევა) . . . . . .

კონკრეტული წინადადებანი ბავშვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად . . . . . .

შენიშვნა: აქტის ასლი გადაეცემა პატრონატზე ამყვან ოჯახს ხელწერილ ქვეშ.

შემმოწმებლის ხელის მოწერა . . . . . .

დ ა ნ ა რ თ ი № 5

ჟ უ რ ნ ა ლ ი

პატრონატზე გაცემულ ბავშვთა აღსარიცხავად

№№ რიგ.	ხელშეკრულების დადების თარიღი	გვარი, სახელი და მამის სახელი ბავშვისა	დაბადების წელი	ვინ ყავს მახლობელი ნათესავი, დედა, მამა, ორივე	გვარი, სახელი და მამის სახელი პატრონატზე ამყვანი პირისა, მისი მისამართი	ამყვანის ხელის მოწერა	ვის და როდის გადაეცა ბავშვი პატრონატის შეწყვეტის შემდეგ. პატრონატის შეწყვეტის მიზეზის აღნიშვნა

შენიშვნა: მშრომელთა ოჯახში პატრონატზე გადაცემულ ბავშვთა აღსარიცხავ ჟურნალს აწარმოებს პირადად სახალხო განათლების განყოფილების გამგე და ინახება ისე, როგორც ფულადი დოკუმენტი.

ვამტკიცებ.
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჭულაძე**
5 მაისის, **1948** წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტრუქცია

საბავშო სახლის აღსაზრდელთა ქონებრივი უფლების დაცვის შესახებ

იმ შემთხვევაში, როდესაც საბავშვო სახლების აღსაზრდელებს აქვთ ქონება მშობლისაგან ან ნათესავებისაგან დატოვებული მემკვიდრეობით ან საჩუქრად, მათი უფლების დაცვას ამ ქონებაზე ანხორციელებენ სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეები და საბავშვო სახლების დირექტორები, რომლებმაც საჭირო ზომები უნდა მიიღონ ქონების დაცვისა და შენახვისათვის.

ამისათვის საჭიროა მათ იხელმძღვანელონ შემდეგით:

1. აღსაზრდელის ქონების დაცვასა და შენახვაზე პასუხისმგებელია საბავშვო სახლის დირექტორი, რომელმაც უნდა ჩაიბაროს ბავშვის ქონება აღწერით, ხელწერილქვეშ. აღწერა დგება ორ ცალად. ერთი ცალი უნდა ინახებოდეს საბავშო სახლში — ბავშვის პირად საქმეში, ხოლო მეორე — ხელწერილით საბავშო სახლის დირექტორის მიერ ქონების მიღებაზე — განათლების განყოფილებაში.

შენიშვნა. თუ საბავშვო სახლში მიღებამდე ბავშვს ჰყავდა მეურვე, განათლების განყოფილებას შეუძლია ქონების გამგებლობა შემდეგშიც დაავალოს ამავე მეურვეს. ამ შემთხვევაში საბავშვო სახლის დირექტორი მხოლოდ თვალყურს ადევნებს მის მოქმედებას.

2. საბავშვო სახლის დირექტორი არკვევს აღსაზრდელის ქონებრივ მდგომარეობას, მემკვიდრეობისა და ალიმენტის უფლებას ბავშვის პირადი გამოკითხვით, ცნობების შეკრებით ბავშვის ძველი საცხოვრებელი ადგილიდან და სხვადასხვა დაწესებულებებიდან, აგრეთვე ნათესავებთან და მახლობლებთან მიმოწერის საშუალებით და ღებულობს ზომებს ბავშვის უფლებათა განხორციელებისათვის მის კუთვნილ ქონებაზე.

3. აღსაზრდელთა აღრიცხვის დავთარში, „შენიშვნის“ სვეტში, შეტანილ უნდა იქნეს ცნობა, რომ ბავშვს აქვს ქონება, რაზეც შემდგარია აქტი და ინახება ბავშვის პირად საქმეში.

4. აღსაზრდელის ქონების საბავშო სახლის საკუთრებად გადაქცევა დაუშვებელია.

5. საკუთარი ქონების სარგებლობა აღსაზრდელს შეუძლია საბავშვო სახლის დირექტორის წერილობითი ნებართვით.

6. თუ აღსაზრდელს აქვს ისეთი ქონება, რომლის გამგებლობა საბავშვო სახლის დირექტორისათვის საძნელოა სხვადასხვა მიზეზების გამო, მაშინ ამ ქონებაზე განათლების განყოფილება ნიშნავს მეურვეს.

7. თუ ქონების შენახვა მიზანშეწონილი არ არის (ფუჭდება, ტკარგება, ფასი და სხვ.), საბავშვო სახლის დირექტორის წარდგენით განათლების განყოფილება იძლევა ნებართვას მისი გაყიდვის შესახებ (საბაზრო ფასებში ან საკომისიო მაღაზიის საშუალებით). გაყიდვაზე სახლის დირექტორი ადგენს აქტს.

გაყიდულ ქონებიდან აღებული თანხა შეტანილ უნდა იქნეს შრომის შემნახველ სალაროში ბავშვის სახელზე და არ შეიძლება დაიხარჯოს ბავშვის შენახვის მიმდინარე ხარჯების დასაფარავად.

8. აკრძალულია აღსაზრდელის ქონების ყიდვა საბავშვო სახლის თანამშრომლების, ბავშვის ნათესავებისა და უშუალოდ საბავშვო სახლის მიერ.

9. ფული, სახელმწიფო სესხის ობლიგაციები და ძვირფასეულობა უნდა იქნეს შეტანილი შრომის შემნახველ სალაროში ან სახ. ბანკში აღსაზრდელის სახელზე. ობლიგაციების აღწერილობა, სესხისა და NN-ს ჩვენებით, უნდა ინახებოდეს აღსაზრდელის პირად საქმეში, შრომის შემნახველ სალაროს წიგნაკი ან სახ. ბანკის ხელწერილი კი საბავშვო სახლის დოკუმენტებთან ერთად—ცეცხლგამძლე ყუთში.

10. აღსაზრდელის ქონების გაყიდვისათვის (პუნქტი 7), მემკვიდრეობაზე საქმის წარმოებისათვის, ფულისა და ქონების ძიებისათვის, აგრეთვე ბავშვის შენახვაზე ვალდებულ პირთაგან ალიმენტის ძიებისათვის, შეიძლება დანიშნულ იქნეს მეურვე განათლების განყოფილების მიერ.

11. ქონების შემოსავლიდან, ან ალიმენტიდან, რომელსაც იღებს ბავშვი, დაკავებულ უნდა იქნეს საბავშვო სახლის სპეციალურ ფონდისათვის ბავშვის შესანახი თანხა (კვება, ტანსაცმელი), დანარჩენი შეტანილ უნდა იქნეს შრომის შემნახველ სალაროში ბავშვის

85/637 6887/637

სახელზე. დასაკავებელი თანხის რაოდენობას განსაზღვრავს განათ-
ლების განყოფილების გამგე და იგი არ შეიძლება აღემატებოდეს
ერთი ბავშვის შენახვისათვის განსაზღვრულ თანხას საბავშვო სახლში.

12. აღსაზრდელის სხვა დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში, უკანასკნელს გადაეცემა მისი ქონება და ფულადი დოკუმენტები, რაზედაც უნდა შედგეს სათანადო აქტი ორ ცალად.

13. აღსაზრდელის მშობლებისათვის დაბრუნების, პატრონატზე ან მეურვეობაზე გადაცემის ან გაშვილების შემთხვევაში, ქონება და ფულადი დოკუმენტები გადაეცემა აღნიშნულ პირებს აღწერით, ხელწერილ ქვეშ.

14. ასაკგადაცილებული აღსაზრდელის საბავშვო სახლიდან გაყვანისას აუცილებელია პირადად მისი დასწრება ქონებისა და დოკუმენტების გადაცემის დროს მისი მზრუნველისათვის და გადაცემის აქტზე ხელის მოწერა.

პასუხისმგებელი რედაქტორი მ. ბურჯულაძე

საქ სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პოლიგრაფიისა და გამომცემლობის საქმეთა სამმართველოს სტამბა № 2, ფურცელაძის ქ. № 5

უე10590 ტირაჟი 2000 შეკვეთა 1405